პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

1980 | 25 იანვარი, პარასკევი
№ 4 (2181)
გამოცემის 48-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ხუთწლედის რიტმი*

## ლენინურ შრომითს ვახტზე



უკვე ძალაში შევიდა ახალი — 1980 წელი, ხუთწლედის დამამთავრებელი წელი. მთელი საბჭოთა ხალხი შრომობს სახელო მაჩვენებლების მისაღწევად. აქედანვე ეყრება საფუძველი წლევანდელი წლის უხვ მოსავალს, ფაბრიკა-ქარხნებში შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული მიმდინარე ხუთწლედის დავალებათა პირნათლად შესასრულებლად.

ძველი გვარდიის მუშათა კლასის გვერდით შრომობს ახალგაზრდობა, რომელიც თავის სახელო გამარჯვებებს უძღვნის სამშობლოს, კომკავშირს. უკვე ტრადიციად იქცა, რომ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები მიაშურებენ საწარმოებს. ამის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ დების — ელენე და ლალი ქავთარაძეების საქმიანობა. მათ 1978 წელს დაამთავრეს კასპის რაიონის სოფელ ოკამის საშუალო სკოლა და მაშინვე მიაშურეს თბილისის ჟაკარდული აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკას. გაიარა მოსამზადებელმა პერიოდმა და ახლა ისინი უკვე მოწინავეთა რიგებში დგანან. დები ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. გადაწყვეტილი აქვთ, რომ 1980 წლის პირველი ოთხი თვის გეგმა ვ. ი. ლენინის დაბადების დღისათვის — 22 აპრილისათვის შეასრულონ.



სასახელო მაჩვენებლებს აღწევენ თავიანთ საქმიანობაში თბილისის ელექტროგამშვები ქარხნის ახალგაზრდა ხარატი ვაჟა ქველიძე და ტექნოლოგი თენგიზ გოგილიძე, ისინი არასოდეს სჯერდებიან გეგმის შესრულებას, არც აღებული ვალდებულებაა მათთვის დამაკმაყოფილებელი. უფრო მეტი და მეტი უნდათ გააკეთონ და კიდევაც აღწევენ წარმატებას ახალგაზრდა სპეციალისტები.

შრომის ზეიმია ყველგან და ამ ზეიმში მძლავრად ისმის ახალგაზრდობის ხმა. ახალგაზრდები მოწინავეთა ხაზზე — აი მათი ყოველდღიური დევიზი.

ფოტოები ვ. გოგაძისა.

*რეპორტაჟი ვ. ი. ლენინის მუზეუმიდან*

## „მზე მოდის არა ერთი და ორი!“




მაღალი დარბაზების ფანჯრებში სხივები მინავლდა. დღე მიიწურა.

რამდენიმე კარი გამოვიარე და ქუჩებს შევერიე.

მტკვარს იქით ისევ ენთო მზე. გულმა მისკენ მიბიძგა. ხალხით გაჭედილ ტრანსპორტს არ დავერიდე და გაღმა გავუსწარ მზეს.

მაინც ასე რატომ შეჰხარის კაცი მზეს? რომ სადაც კი გაიელვებს, რა სახესაც არ უნდა ატარებდეს მისი ნათელი, მისკენ მივილტვით?

არ ვიცი, ამ ფიქრებმა დამიყენა თვალწინ, რაც დღისით მუზეუმში მენახა, თუ იქ ნახულ-ნაგრძნობმა დაუდო სათავე ფიქრთა ამგვარ მდინარებას, ამის გაჩხრეკას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან კავშირი მათ შორის მეტად ცხადი იყო: რომ რწმენა, თავგანწირვა, რევოლუცია, გამარჯვების აღფრთოვანება, დროშათა ფრიალი, ახალი სამყაროს დაბადება — ყოველივე, რაზეც ის მაღალი, მზიანი დარბაზები მღელვარედ მოგვითხრობენ, სინათლის წმინდა ნაწილებია, საითკენაც ყოველთვის ისწრაფვოდნენ და ისწრაფვიან ადამიანები; რომ აშკარაა ნათესაობა ამ სწრაფვისა იმასთან, რომ ჩვენ სიხარულით გამოვეფინებით ხოლმე მზვარეზე, რომ სავალად ვირჩევთ ქუჩის მზიან მხარეს, რომ ფართოდ ვაღებთ ფანჯრებს, რათა ოთახში უხვად შემოვიდეს მზე.

რა მარტივად მეჩვენება ახლა პასუხი კითხვაზე, თუ რატომ გაჰყვნენ ხალხები ლენინს: ადამიანებს სწყუროდათ სითბო და სინათლე, ხოლო ლენინი მათ სიბნელეზე და უსასოობაზე გადამწყვეტ ბრძოლებში მიუძღოდა. თავისუფლების შუქის დიდებულებით შეპყრობილნი, ისინი მტკიცედ ედგნენ მხარში ბელადს, მისი დახმარებით ანგრევდნენ ძველს და აშენებდნენ ახალს.

ასე გამოიკვეთა ჩემს თვალწინ ის, რაც მთავარია იმ დარბაზებში: ლენინისა და მშრომელი მასების მტკიცე კავშირი. სწორედ ამ კავშირმა შესძრა მსოფლიო და ძირფესვიანად შეუცვალა მიმდინარეობა მთელი კაცობრიობის განვითარებას.

მუზეუმის ზღვა მასალებიდან მე მხოლოდ იმათ გამოვარჩევ, ლენინისა და საქართველოს მშრომელების სიახლოვეს რომ შეეხება, ამასთან — არა ოქტომბრის რევოლუციამდელს...

ჩემს ხსოვნაში განსაკუთრებული სიცხოვლით აღიბეჭდა იმ ჯავშნოსნის მაკეტი, რომლიდანაც პეტროგრადში დაბრუნებულმა ლენინმა თავისი ცნობილი სიტყვა წარმოთქვა. მწვანედ შეღებილი მანქანისათვის გვერდიდან წითელი ასოებით წაუწერიათ: „მტერი კაპიტალისა“.

იდგა მაშინ 1917 წლის მარტის ბოლო: ლენინის სიტყვამ ქვეყანაზე ქუხილივით გადაიგრგვინა. და ამ დროს ლანჩხუთელი ბოლშევიკების ჯგუფისგან პეტროგრადში მოვიდა დეპეშა:

მივესალმებით ამხანაგ ლენინს და ვუსურვებთ, კვლავაც ისევე მაღლა სჭეროდეს სოციალიზმის დროშა, როგორც აქამდე.

ლანჩხუთლების კვალდაკვალ არაერთი მისალმება იგზავნება საქართველოდან.

გადის დრო. ლენინსა და მის თანამებრძოლთ დაპატიმრების საფრთხე ემუქრება. ამის თაობაზე თბილისში საქალაქო მიტინგი იმართება, რომელსაც გამოაქვს რეზოლუცია:

ჩვენ, ქალაქ თბილისის ჯარისკაცები და მშრომელები... 9 ივლისს შევიკრიბეთ... და მოვისმინეთ ტელეგრამა, რომ ხელმოწერილია ორდერი ამხანაგ ლენინისა და თავისუფლებისათვის სხვა მოწინავე მებრძოლების დასაპატიმრებლად... ჩვენ ხმას ვიმაღლებთ და პროტესტს ვაცხადებთ... ძირს ძალმომრეობა და თვითნებობა! გაუმარჯოს რევოლუციურ დემოკრატიას და მის საუკეთესო შვილებს, რომელთა დაპატიმრების განკარგულება სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს.

როცა მესამე რევოლუციის დღეები მოახლოვდა, როცა რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ყრილობა შეიკრიბა, მან 7 ოქტომბერს პეტროგრადში ასეთი დეპეშა აფრინა:

გამოვთქვამთ რწმენას, რომ უახლოეს მომავალში რუსეთის მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა თავისი ახალი რევოლუციის შემწეობით გადაიგდებენ მილიონერებისა და მათი ლაქიების უღელს და შესაძლებლობას მისცემენ ამხ. ლენინს, გამოვიდეს იატაკქვეშეთიდან, გაცხადებულად დაიჭიროს ჩვენი ბელადის ადგილი.

წერილებისა და დეპეშების ნაკადი კიდევ უფრო ზღვავდება ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. საქართველოს მშრომელები აღფრთოვანებული მიესალმებიან ლენინს. ბათუმელნი ერთ-ერთი პირველნი იღებენ ვალდებულებას, მხარი დაუჭირონ საბჭოთა ხელისუფლების პროგრამას.

მეორეს მხრივ, გაისმის უკმაყოფილების ხმები მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ:

ამიერკავკასიის ჯარისკაცთა ჯგუფი აღშფოთებული ვართ და პროტესტს ვაცხადებთ გეგეჭკორის და სხვათა მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების წინააღმდეგ. გაუმარჯოს პროლეტარიატის არმიის ჭეშმარიტ ბელადს — ულიანოვ-ლენინს!

ასეთივე განწყობილება სუფევს მთელს ამიერკავკასიაში.

და, აი დგება 1921 წელიც. შემონახულია საქართველოს რევოლუციური კომიტეტის ბრძანება № 1 რევკომის თავმჯდომარის მ. ორახელაშვილის ხელმოწერით. მასში ნათქვამია:

მშრომელი ხალხის აჯანყებით ჩამოგდებული საქართველოს ყოფილი მთავრობა ჟორდანიას მეთაურობით ოფიცერთა და იუნკერთა რაზმების დამარცხების შემდეგ დასავლეთ საქართველოს გადავიდა. ბრძოლა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც მხოლოდ ჩამოგდებულია და არა გვნებდება, უნდა წარმოებული იქნას გაძლიერებული ენერგიით.

ამ მძიმე დღეების მერე რევკომის დაძაბული მეცადინეობით ცხოვრება ნელ-ნელა კალაპოტში დგება. კრემლში მიფრინავს მადლიერების გამოხმაურებანი. ექსპონატებს შორის მოხვედრილა თბილისის თამბაქოს ფაბრიკის მუშებისა და რესპუბლიკის უპარტიო ქალთა პირველი ყრილობისაგან გაგზავნილი დეპეშები.

საყოველთაო-სახალხო ნდობას ლენინი გულითადი მზრუნველობით უპასუხებს. მისი თაოსნობით რუსეთის სახკომსაბჭო, როგორც ცნობილია, ხუთ მილიონ ოქროს მანეთს გამოუყოფს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას, დახმარების სახით უგზავნის 234 ათას ფუთ პურს, 15 ვაგონ შაქარს, ფართალს, ფეხსაცმელს და სხვას, რომელსაც თვით რუსეთიც დიდ სასურსათო სიძნელეებს განიცდის. მოსკოვიდან ჩამოაქვთ მოწყობილობანი ქუთაისის მაუდის ფაბრიკისათვის. ლენინისავე მითითებით იწყება ელექტროფიკაციის სამუშაოები, გოელროს ლენინური გეგმით საფუძველი ეყრება ზაჰესის მშენებლობას. მარტო პირველ შაბათობაში მონაწილეობს 4.500 კაცი.

1921 წელსვე თბილისში დაიდგა ლენინის ბიუსტი, ერთ-ერთი პირველი საბჭოთა კავშირში. როგორც ფოტოებიც გვიჩვენებენ, ზეიმში მონაწილეობა მიუღიათ ქალაქის მოსახლეობას და არმიის ნაწილებს. აღდგენილი ბიუსტის პირი მუზეუმის საგულისხმო ექსპონატად უნდა მივიჩნიოთ.

...ლენინი დროდადრო ავადმყოფობს. მთელი საქართველო თვალს ადევნებს მის ჯანმრთელობას, ხმასაც აწვდენს პარტიის ბელადს. მოვიტანთ ორ ამონაწერს:

კავშირგაბმულობის მუშაკების ამიერკავკასიის ყრილობა გულწრფელად გახარებულია, საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ხელმძღვანელობას რომ დაუბრუნდით... აგირჩიეთ ჩვენი ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ.

ჩვენი კონფერენცია გისურვებთ მალე გამოჯანმრთელებას, ძვირფასო ილიჩ... ჩქარა დამდგარიყავით საქმესთან... თქვენი ჯანმრთელობა ფასდაუდებელია მსოფლიო პროლეტარიატისათვის.

ლენინის ჯანმრთელობას კითხულობენ ახალციხიდან, ცხინვალიდან, სენაკიდან...

მიუხედავად ავადმყოფობისა, ლენინი ამიერკავკასიის რესპუბლიკების საერთო ღონისძიებათა სულისჩამდგმელია.

მე ვნახე ფოტო გადაღებული 1922 წლის მარტში, პირველი უფლებამოსილი კონფერენციის დელეგატებისა, რომელთაც განიხილეს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხი. მონაწილენი სურათზე რამდენიმე რიგად არიან: ერთნი მიწაზე დამსხდარან, მეორენი — დამდგარან, მესამენი — აქეთ-იქით კიბეებს შეჰფენიან, დანარჩენები რიკულებიანი აივნიდან იხედებიან. განსხვავებულნი ეროვნებით, ასაკით, განათლებით, ჩვეულებებით, ჩაცმულობით, ისინი შეუკავშირებია ერთ მიზანს — ერთ იდეას... ძნელი არაა, მათ სახეებში, მათ გამოხედვაში ამოიკითხო საერთო, რწმენით აღსავსე განწყობილება.

მე ვნახე ლენინის რამდენიმე ბარათი ქართველი კომუნისტებისადმი, გულთბილი კილოთი აღსავსე. მისი ქართველი მეგობრების წერილებსაც გავეცანი, რომლებიც საიმდღეო საჭირბოროტო საკითხებს კვლავ თვალწინ გვიცოცხლებენ. ერთ-ერთი მათგანი ფილიპე მახარაძეს ეკუთვნის:

დიდი წარმატებებია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგებში. ვიმედოვნებ, რომ ოქტომბრის რევოლუციის ხუთი წლისთავისათვის შევძლებთ ყველა ეს მონაცემი... ცალკე წიგნად ამ ბროშურად გამოვცეთ.

— მე ისე არაფერი მსურვებია, არაფერზე იმდენი არ მიოცნებია, როგორც იმაზე, რომ მქონოდა შესაძლებლობა, მეწერა მუშებისათვის — წერდა ვლადიმერ ილიას ძე ერთ დროს.

თუ როგორ შესძლო ლენინმა ეს, გაცხადებულია იმ დიდ სიყვარულში, რომელიც მან უბრალო ადამიანებისაგან მოიმკო.

მაგრამ მძიმედ შემოვიდა 1924 წელი.

...ლენინი გარდაიცვალა.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მიმართავს რესპუბლიკის მუშებს, გლეხებს, ყოველ მოქალაქეს, რომ საჭიროა სიმტკიცის შენარჩუნება! ლენინის საქმე ბოლომდე უნდა განხორციელდეს, ანდერძი უნდა შესრულდეს!

ერთსულოვნად აიტაცეს ეს მოწოდება იმ ადამიანებმა, ვისთვისაც ლენინმა იბრძოლა და იღვაწა: თბილისის დეპოს უპარტიო მუშებმა, ჩაქვის თემის გლეხკაცობამ, პირველი ელსადგურის მშენებლებმა, აფხაზეთის მშრომელებმა, — მთელმა რესპუბლიკამ.

ერთ-ერთ დარბაზში, გორკისა და მაიაკოვსკის წიგნებსა და ხელნაწერების შუაში, გალაკტიონის იმ ლექსის ხელნაწერის ფოტოპირსაც წავაწყდი, ლენინის გარდაცვალებაზე რომაა დაწერილი.

ამ ფურცელზე სამი მხრით პოეტს შავი მსხვილი ხაზები გამოუყვანია. ამან იმავე წელს დაწერილი სტრიქონები გამახსენა სხვა ლექსიდან: „მოაქვს დეპეშებს შავი სვეტებით შემოხაზული მისი სახელი“... ლექსში იმ დღეების საყოველთაო განწყობილებაა გადმოცემული: „მღელვარება ღრუბლის ქალაქის ქალას, ჩავარდნილ თვალებს და ღია ბაღებს... დახურულ კარებს გრიგალი აღებს... შფოთავს, საოცრად შფოთავს ვოლტორნი, და ფაგოტები... ორი ბოროტად ანთებულ ომის და სამი მძაფრი რევოლუციის დროშა — ლენინი. დადგნენ ერთგული მოიმედენი, ოცნება თოვლში დაკარგულ ქოხის და რკინის დროის გზაჯვარედინი. პროლეტარიატი გუგუნია მთელი ეპოხის... დახარეთ დაბლა დროშათ ბანაკი, აქ ბევრი ბრძოლის გათავდა ვადა, სტოვებს ბელადი და ამხანაგი დევიზზე დევიზს: გაქრა შიმშილი, მოკვდა ბლოკადა, გათავდა ომი სამოქალაქო, მაგრამ ახლოა დრო, ამხანაგო, მსოფლიო ნგრევის“.

თვითმხილველს ვგრძნობ, ვინც სხვადასხვა დროს ბრძანა: „გახსენების მომძახოდა მტანჯველი ლანდი, შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი“. „მე, ნოემბერი და პეტროგრადი“, ან: „დასცხრით, ტალღებო, მზე ამოდის აღმოსავლეთით, მზე მოდის არა ერთი და ორი!“

ეს მოულოდნელი სიმრავლე მზისა ერთბაშად აენთება თითქოს. წარსული აწმყოდ მოიქცევა, მათ შუქზე მომავალიც აწმყოში იჭრება. მზეები აერთებენ ყველა დროს...

ეთერ სახვაძე

*მწერალთა კავშირში*

## საიუბილეო წლის ღონისძიებები

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. მოხსენებით ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების შესახებ გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, მწერალი-აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ აბაშიძე.

საქართველოს მწერალთა კავშირს ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად ფართო ღონისძიებები აქვს დასახული, — თქვა მომხსენებელმა, — კერძოდ ჩატარდება ლენინგრადელ მწერალთა დღეები თბილისში, ქართული ლიტერატურის დღეები ლენინგრადში, გამოსაცემად მომზადებულია კრებულები „მსოფლიოს პოეტები ვ. ი. ლენინს“ (შემდგენლები მორის ფოცხიშვილი, გურამ ფანჯიკიძე) და „ქართველი პოეტები ლენინს“ (შემდგენელი რევაზ მარგიანი). მწერალთა კავშირში მოეწყობა შეხვედრები რევოლუციის ვეტერანებთან, ქალაქ რუსთავში ჩატარდება ინტერნაციონალური პოეზიის საღამო, ქ. თბილისის ლენინის რაიონში გაიმართება ლიტერატურული საღამო, მოეწყობა მწერალთა შეხვედრები კომკავშირულ ქალაქში და პიონერთა სასახლის აღსაზრდელებთან, განზრახულია ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ავრორას“ ნომრების გაცვლა „მნათობთან“ და „ცისკართან“, ჩატარდება მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი თემაზე „ხალხთა ლენინური მეგობრობა და ქართული მწერლობა“.

ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორმა გიორგი ნატროშვილმა, „ცისკრის“ რედაქტორმა მორის ფოცხიშვილმა, „განთიადის“ რედაქტორმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქტორმა გურამ ასათიანმა, „კრიტიკის“ რედაქტორმა გიორგი მერკვილაძემ, „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორმა თამაზ ჭილაძემ, „საუნჯის“ რედაქტორმა შოთა ნიშნიანიძემ, გამომცემლობა „მერანისა“ და „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორებმა რევაზ მარგიანმა და გურამ ფანჯიკიძემ, მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარემ ოთარ ნოდიამ, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ განყოფილების გამგემ თედო ბექიშვილმა პრეზიდიუმს გააცნეს ის მრავალფეროვანი შემოქმედებითი ღონისძიებანი, რაც აღნიშნულ რედაქციებსა და გამომცემლობებს ვ. ი. ლენინის საიუბილეო წელს აქვთ დასახული.

პრეზიდიუმმა მოისმინა მწერალთა კავშირის მდივნის გიორგი ციციშვილის მოხსენება — „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXIII პლენუმის შედეგები და მწერალთა ორგანიზაციის ამოცანები“.

შემდეგ გაიმართა კამათი.

კამათში გამოსულმა მწერლებმა: გრიგოლ აბაშიძემ, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, მურმან ლებანიძემ, რევაზ ჯაფარიძემ, იოსებ ნონეშვილმა, რევაზ მარგიანმა, ჯანსულ ჩარკვიანმა, გურამ ფანჯიკიძემ, თამაზ ჭილაძემ, შოთა ნიშნიანიძემ, გიორგი ციციშვილმა, მორის ფოცხიშვილმა აღნიშნეს, რომ საქართველოს მწერალთა კავშირმა კიდევ უფრო უნდა გააქტიუროს მუშაობა იმ დიდ ამოცანათა შესასრულებლად, რაც დასახული აქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განუხრელი აღმავლობისათვის.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის ფორმების შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას. სხდომაზე საუბარი იყო ზოგიერთ იმ ხარვეზზე, რომელსაც ადგილი აქვს მწერალთა კავშირისა და მასში შემავალი ორგანიზაციების მუშაობაში, უკანასკნელ ხანს გამართული ლიტერატურული საღამოებისა და, მათ შორის, ფოლკლორული საღამოების ავკარგიანობაზე, შემოქმედებით მივლინებაში მყოფი მწერლების ახალ ნაწარმოებებზე, მწერალთა კავშირის ბეჭდვითი ორგანოების მუშაობის ცალკეულ მხარეებზე.

მწერალთა კავშირის მდივანმა გიორგი ჟორჟოლიანმა სხდომას გააცნო საქართველოს მწერალთა კავშირის 1980 წლის სამუშაო გეგმა.

დასასრულ პრეზიდიუმმა დაამტკიცა მწერალთა კავშირის ახალ წევრთა მიღება.

## თანამედროვე ლიტერატურის გმირი

„ლიტერატურნაია გაზეტამ“ და აზერბაიჯანის მწერალთა კავშირმა ბაქოში მოაწყვეს „მრგვალი მაგიდა“, რომლის თემა იყო „განვითარებული სოციალიზმის ეპოქის საბჭოთა საზოგადოების სულიერი და მორალური ფასეულობანი და თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის გმირი“.

ორ დღეს მიმდინარეობდა სჯაბაასი „მრგვალი მაგიდის“ გარშემო. შემოქმედებითს დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი მრავალეროვანი ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, რომელთა შორის იყვნენ: პროფესორი იური ანდრეევი (ლენინგრადი), „ლიტერატურნაია არმენიას“ მთავარი რედაქტორი, მწერალი კარენ სიმონიანი, პროზაიკოსი ვლადიმერ ჩავორისკი (კიევი), კრიტიკოსი იაშარ კარაევი (ბაქო), კრიტიკოსი ლევ ანინსკი (მოსკოვი), პროფესორი ზოია კედრინა (მოსკოვი), პროფესორი სეიფულა აბდულაევი (ბაქო), კრიტიკოსი ბორის ანაშენკოვი (მოსკოვი), ნერუს სახელობის საერთაშორისო პრემიის

### „მრგვალი მაგიდა“ და პოეზიის დიდი ინტერნაციონალური საღამო ბაქოში

ლაურეატი, პროზაიკოსი ანუარ ალიმჟანოვი, კრიტიკოსები: გურამ გვერდწითელი და ზაზა აბზიანიძე (თბილისი), პოეტი ვლადიმერ გორდეიჩევი (ვორონეჟი), პოეტი გულრუხსორ საფიევა (დუშანბე), კრიტიკოსი აიდინ მამედოვი (ბაქო), პოეტი ევგენი ევტუშენკო (მოსკოვი), პროზაიკოსი ხალიდა ხასილოვა (ბაქო), პოეტი ლეილა ერაძე (თბილისი), პროზაიკოსი ანარი (ბაქო), პოეტი მიკოლა ვინგრანოვსკი (კიევი), აზერბაიჯანის სახალხო პოეტი რასულ რზა, ჟურნალისტი პაველ ულიაშოვი („ლიტერატურნაია გაზეტას“ სსრკ ხალხთა ლიტერატურის განყოფილების გამგის მოადგილე), აზერბაიჯანის სახალხო პოეტი მირვარიდ დილბაზი, პროზაიკოსი ჩინგიზ ჰუსეინოვი (მოსკოვი), ჟურნალისტი მარია მოროზოვა (მოსკოვი).

სხდომებს თავმჯდომარეობდნენ: აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის პირველი მდივანი, აზერბაიჯანის სახალხო მწერალი იმრან კასუმოვი და „ლიტერატურნაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ლიტერატურათმცოდნე ევგენი კრიგიცკი.

განვითარებული სოციალიზმის ეპოქა ითვალისწინებს რა პიროვნებისა და საზოგადოების დიალექტიკური ურთიერთობის ახალ დონეს, ადამიანის მზარდი სულიერი და მორალური მოთხოვნილების სულ უფრო მეტ დაკმაყოფილებას, იზრდება პიროვნების როლი, მისი პასუხისმგებლობის საზომი კოლექტივის, საზოგადოების წინაშე.

ლიტერატურისა და კრიტიკის წინაშე დგება არაერთი ახალი პრობლემა იმ ჰუმანური პოტენციალის გაზრდისა და გამოვლენისათვის, რომელიც ჩვენს საზოგადოებას გააჩნია. ერთ-ერთ პირველ ამოცანად ისახება ადამიანის შრომის ხალხისათვის სასარგებლო ზნეობრივ ფენომენად, შემოქმედების ფაქტორად, სულიერ ფასეულობად გარდაქმნა: წარმოჩენა ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის მთავარი გმირისა, როგორც უმაღლესი ზნეობრივი ღირსებების მქონე აქტიური ადამიანისა, რომელიც მზად არის თავი დასდოს ხალხისა და პარტიის ინტერესებისათვის, სიკეთის, ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის პრინციპებისათვის.

„ლიტერატურნაია გაზეტამ“ და აზერბაიჯანის მწერალთა კავშირმა „მრგვალ მაგიდასთან“ განიხილეს შემდეგი თემები: შრომა, როგორც შემოქმედება (მისი ასახვა თანამედროვე საბჭოთა მრავალეროვან ლიტერატურაში);

ლიტერატურა — მუშა — სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია (შრომითი და რევოლუციური ტრადიციები; როგორ აისახა ისინი მხატვრულ ლიტერატურაში; ჩვენი ლიტერატურის მთავარი, დადებითი გმირი. მუშის სახე პროზაში, მისი მოღვაწეობა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შემოქმედებასთან დაკავშირებით);

ლიტერატურა და სოფელი („სოფლელ“ მწერალთა ნაწარმოებების ზნეობრივი პრობლემატიკა; შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ზოგიერთი კრიტიკოსის მტკიცება, თითქოს „სოფლის“ ლიტერატურამ ამოწურა თავისი თავი; რა ახალ პრობლემებს წამოჭრის მწერლების წინაშე სოფელი, რომელიც სახეს იცვლის);

ყოფა და ყოფიერება (როგორ ებრძვის ლიტერატურა სოციალისტური ზნეობის ანტიპოდებს, ჩვენი მორალისათვის უცხო გამოვლინებებს — მეშჩანობას, მექრთამეობას, პროტექციონიზმს და სხვა უარყოფით მოვლენებს);

ინტერნაციონალიზმის თემა და ხალხთა მეგობრობა საბჭოთა ლიტერატურაში; ეროვნულისა და ინტერნაციონალიზმის პრობლემა ლიტერატურულ შემოქმედებაში;

როგორია ახალგაზრდა გმირი? (ლაპარაკია მიზანსწრაფულ, აქტიურ გმირზე, რომელიც თავისი საქმიანობით ამტკიცებს საბჭოთა მორალის პრინციპებს)...

მიწა და ადამიანი (ზნეობრივი პრობლემატიკა ნაწარმოებისა, რომელიც ეხება ადამიანისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების თემას; როგორ არის დასმული ეს თემა ლიტერატურაში — ლოზუნგის — „დაიცავი ბუნება“ პროპაგანდის დონეზე თუ უფრო ღრმა მხატვრულ-ფილოსოფიურზე);

„პოეტი რუსეთში ორმაგად პოეტია!“ (პოეზიის აღმზრდელობითი როლი საბჭოთა ადამიანების მოქალაქეობრივი და ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებაში; პოეზიის ჩამორჩენილობა, ბევრი პოეტური წიგნის საშუალო დონე, ზოგიერთი ავტორის შემოქმედებითი გაუბედაობა და ა. შ.).

გაუფრთხილდი სახელს ახალგაზრდობიდან (ლიტერატურა ბავშვებისათვის და მისი როლი კომუნისტური მორალით ნორჩი თაობის აღზრდაში; ბევრი საბავშვო წიგნის დაბალი შემოქმედებითი დონე);

ახირებულები თუ რაინდები? (ლიტერატურა მშვენიერების გრძნობის, სიკეთის, კეთილშობილებისა; ქალისადმი რაინდული დამოკიდებულების აღზრდა ადამიანში);

კრიტიკა — თვითშეგნება (საბჭოთა ლიტერატურის მორალური პრობლემების გაშუქება დღევანდელ კრიტიკაში; რამდენად ღრმად აანალიზებს იგი ლიტერატურულ პროცესს, გრძნობს თუ არა ცხოვრებასა და ლიტერატურაში მომხდარი მორალური ჰავის ცვლილებებს).

აი, ის საკითხები, რომელთა ირგვლივ იმსჯელეს გამოსულმა ლიტერატორებმა ჩვენი მრავალეროვანი ლიტერატურის ნიმუშთა მაგალითზე.

გამოითქვა რწმენა იმისა, რომ ამგვარი შეკრებები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა დაეხმარება და კიდევ უფრო სასიკეთოდ წარმართავს ჩვენი ქვეყნის მწერალთა შემოქმედებით მოღვაწეობას.

„მრგვალი მაგიდის“ დამთავრების შემდეგ ბაქოს მუსლიმ მაგომაევის სახელობის ფილარმონიის დარბაზში გაიმართა პოეზიის დიდი ინტერნაციონალური საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა იმრან კასუმოვმა, რომელმაც პოეზიის მოყვარულ საზოგადოებას წარუდგინა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან ჩამოსული პოეტები.

დიდძალი მაყურებელი სულგანაბული უსმენდა თავთავიანთ მშობლიურ ენაზე ამეტყველებულ პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს და მათ თარგმანებს.

საღამოში მონაწილეობა მიიღეს: აზერბაიჯანის სახალხო პოეტმა რასულ რზამ, უკრაინელმა პოეტმა მიკოლა ვინგრანოვსკიმ, აზერბაიჯანელმა ბახთიარ ვაჰაბზადემ, ტაჯიკმა პოეტმა ქალმა გულრუხსორ საფიევამ, უკრაინელმა ვლადიმერ გორდეიჩევმა, აზერბაიჯანის სახალხო პოეტმა ქალმა მირვარიდ დილბაზიმ, ისხალა იბრაჰიმოვმა, დაღესტნის სახალხო პოეტმა, სოციალისტური შრომის გმირმა რასულ გამზათოვმა, ქართველმა პოეტმა ლეილა ერაძემ, აზერბაიჯანელებმა — თოფიქ ბაირამმა და ისა ისმაილზადემ, ცნობილმა რუსმა პოეტმა ევგენი ევტუშენკომ.

გვიან ღამემდე ისმოდა სამშობლოს, ხალხის, მშვიდობის, შრომის, უბრალო ადამიანური გრძნობების საგალობელი ლექსები და ყოველი პოეტის გამოსვლა ტაშით მთავრდებოდა.

(ჩვენი სპეც. კორ.)

## კ რ ი ტ ი კ ა

# რწმენის ზნეობრივი სიმაღლე

გიორგი ნატროშვილი

[illegible] მეშახტეების ცხოვრებას ეხებოდა, ჟურნალის ყოველი ნომრის გამოსვლას მოხუცი, თურმე, მოუთმენლად ელოდა. როცა მან გაიგო, რომ მე „მნათობის" რედაქციაში ვმუშაობდი, მკითხა ვინ არის ეს კობიძე, საიდან იცის მეშახტის ყველა საწუხარი და ყველა საიდუმლო, მიწისქვეშეთის ყველა კუნჭული და ყველა გასასვლელიო, ჩემი სიცოცხლე შახტებში დავალამე და ასეთი კაცი, თანაც კალამი რომ ემარჯვებოდეს, არავინ მახსოვსო.

მე ვუთხარი, კობიძე მეშახტე არ არის-მეთქი.

— აბა საიდან იცის შახტი ასე საგულდაგულოდ?

— არსებობს შემოქმედებითი მივლინება, აიღებ ამ მივლინებას, წახვალ შახტში და...

— რამდენი ხნით წახვალ?

— რა ვიცი, ერთი თვე, თვენახევარი, სამი თვე. ვის რამდენი დასჭირდება!

მოხუცს გაეცინა.

— თუ კაცი ხარ, ზღაპრების მოყოლას თავი დაანებე. ერთი თვე კი არა, მაგ კაცს, სულ ცოტა, ნახევარი სიცოცხლე მაინც შახტში აქვს გატარებული.

საქმე სწორედ ის არის, რომ მოხუცი თავის იდუმალმა ალღომ, თუ გუმანმა არ მოატყუა. „გვიმრის ფოთლები" დაწერა კაცმა, რომელმაც რვა წელი იმუშავა მიწის ქვეშ — და მეშახტის ყველა პროფესია გამოსცადა — იყო ჯერ უბრალო მუშა, მერე — მებიგის თანაშემწე, მერე — ამწმენდი, ტექნიკური ინსპექციის უფროსი, ბოლოს შახტის მთავარი დისპეტჩერი. ცხადია, ცხოვრებისეული მასალის ცოდნას, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, თავისი, ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მაგრამ იგი შეერთებული უნდა იყოს პროზაიკოსის მხატვრულ ხედვასა და ფანტაზიასთან, მის უნართან ათასიდან შეარჩიოს ერთი, ყველაზე დამახასიათებელი, ყველაზე ცოცხალი შტრიხი თუ დეტალი, რომელიც გააცოცხლებს, სულს ჩაუდგამს მთელ სურათს, მთელ ნაწარმოებს. რამაზ კობიძეს შემოქმედის არც ერთი ეს თვისება არ აკლია. ამაში ადვილად დარწმუნდება, ვინც გულდასმით წაიკითხავს ამ რომანს და ვინც იცის, რომ კარგი რომანის აუცილებელი თვისებებია მწვავე პრობლემურობა, დიდი რწმენა, დიდი სიყვარული, დიდი პრინციპულობა, როცა მაღალი მიზნისათვის კაცი საკუთარ სიცოცხლესაც კი რისკზე შეაგდებს.

სწორედ ამ თვისებებით იქცევს ყურადღებას რამაზ კობიძის „გვიმრის ფოთლები", რომლის პირველი წიგნი ახლახან გამოსცა „მერანმა", მთლიანად კი ეს წიგნი მანამდე ჟურნალ „მნათობის" ფურცლებზე დაიბეჭდა. ეს არის ვრცელი ეპოპეა, რომელშიც თავისი სრულყოფილი სახით გამოჩნდა საქართველოს მუშათა კლასის ერთ-ერთი მოწინავე რაზმის — ჩვენი სახელოვანი მეშახტეების გმირული შრომა, ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის შემოქმედებითი წარმატებები, მათი ბრძოლა ახალი კომუნისტური ყოფისა და მორალის განმტკიცებისათვის.

რომანი უცნაური, თითქმის საგანგაშო ეპიზოდით იწყება: შახტის საექსპლოატაციო უბნის უფროსს, ჯერაც საკმაოდ ახალგაზრდა, მაგრამ მეშახტის მძიმე, ხიფათიანი ცხოვრებისაგან უკვე გაქალარავებულ ჯიბრაილ ხელთუფლიშვილს — ადამიანს, რომელიც დიდ, მძიმე უბანს წლების მანძილზე სანაქებოდ ხელმძღვანელობდა და გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავდა, რომელმაც თავისი უბნის მეშახტეებს გადაავიწყა თუ რა არის „გეგმის ჩავარდნა", მარცხი, რომელიც თავის საქმიანობაში ბევრჯერ სასიკვდილო განსაცდელსაც კი შეჰყრია, მაგრამ მუდამ გულგაუტეხელი და ქედუხრელი, გამარჯვებული გამოსულა, რომელმაც თავისი პირადი მაგალითით მეშახტეთა კოლექტივი მტკიცედ შეადუღაბა და ყოვლისშემძლე ძალად აქცია, რომელიც მუდამ სამაგალითო იყო პირად ცხოვრებაში, ამხანაგობაშიც, საერთო საქმეშიც, — ამ ადამიანს თანამდებობიდან სრულიად უდანაშაულოდ ხსნიან და საათივით აწყობილ უბანს უმეთაუროდ, პირდაპირ უპატრონოდ სტოვებენ.

რა მოხდა, რაშია საქმე, რას ერჩიან ამ შესანიშნავ ვაჟკაცს?!. თურმე, კანონის თვალსაზრისით, ყველაფერი თავის წესრიგზეა.

საქმე ის არის, რომ მეშახტეების შრომა ძალიან მძიმე და ხიფათიანია. ამიტომ საბჭოთა შრომითი კანონმდებლობა პირდაპირ ითვალისწინებს, რომ მეშახტეთა მუშაობას მხოლოდ და მხოლოდ სათანადო ცენზის მქონე პირები — სამთო ინჟინრები, ან ტექნიკოსები უნდა ხელმძღვანელობდნენ. იგულისხმება, რომ რაც უფრო მცოდნე და განათლებულია მეშახტეთა კოლექტივის ხელმძღვანელი, მით უფრო ნაკლებ შეცდომებს დაუშვებს იგი მუშაობაში და მით უხიფათო იქნება მეშახტეთა შრომა. ამაში თავის გამოხატულებას პოულობს საბჭოთა შრომითი კანონმდებლობის ჰუმანურობა.

მაგრამ ცხოვრებას თავისი კორექტივები შეაქვს უყოველგვარი კანონების მოქმედებაში, მათ შორის, სამთო მრეწველობის კანონების მოქმედებაშიც. ოცდასამიოდე წლის ახალგაზრდას, თეიმურაზ არჯევანიძეს, რომელსაც ჯიბრაილის თანამდებობაზე ნიშნავენ, რომელსაც უმაღლესი სამთო განათლება კი მიუღია, მაგრამ არავითარი ცხოვრებისეული გამოცდილება არ გააჩნია და თვით შახტში მუშაობის სპეციფიკასაც მხოლოდ თეორიულად, წიგნებიდან და ხანმოკლე პრაქტიკული მეცადინეობებიდან იცნობს, მეშახტეები ძალიან ნაკლებად ენდობიან

[illegible] რომელშიც რამდენიმე ათეული პერსონაჟი მოქმედებს. ხოლო მხატვრულ სივრცეში, უკეთ რომ ვთქვათ, სულიერ სფეროში, ეს საწარმოო ხასიათის პრობლემა რომანის ავტორს მეტად უბრალო, დამაჯერებელი ხერხით გადაჭყავს: ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი რომანის პირველი გვერდებიდანვე წარმოგვიდგება, როგორც უსამართლოდ შეურაცხყოფილი, დამცირებული ადამიანი: ეს პატიოსანი მშრომელი ძალას არ იშურებდა საერთო საქმისათვის და სწორედ მაშინ, როცა მიზანს საბოლოოდ მიაღწია, როცა მისი უბანი მთელი ქალაქის საამაყო გახდა, ხოლო რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთები ამ უბნისა და მისი ხელმძღვანელის ქებას ვეღარ აუდიოდნენ, ჯიბრაილი თანამდებობიდან უხეშად, განუკითხავად მოხსნეს და იმოდენა შრომა, ამაგი და დამსახურება წყალში გადაუყარეს.

უსამართლოდ დამცირებული ადამიანის, შეურაცხყოფილი და გათელილი თავმოყვარეობის თემაზე უამრავი მხატვრული ნაწარმოები დაწერილა. რამაზ კობიძემ, ამავე თემაზე დაწერილი კიდევ ერთი რომანი შემოგვთავაზა. ოღონდაც ამჯერად მოქმედება ჩვენს დროში წარმოებს, ჩვენს ქვეყანაში, სადაც პატიოსანი მშრომელის დამცირებისა და შეურაცხყოფის უფლება არავისა აქვს. რამდენად სწორი და თანადროულია მწერლის არჩევანი?

რომანში ამბების და ხასიათების განვითარება გარდუვალად გვარწმუნებს, რომ მწერლის არჩევანი სწორია. მხატვრული შემოქმედების თემა — ცოცხალი ცხოვრებაა, ცხოვრებაში კი არავინ არის დაზღვეული შეცდომებისა და უსამართლობისაგან. ხოლო ზემოთ აღწერილ სიტუაციას, ჯიბრაილ ხელთუფლიშვილის თანამდებობიდან განუკითხავად მოხსნას რამაზ კობიძე ოსტატურად იყენებს იმისათვის, რომ დაგვიხატოს ჩვენი თანამედროვეების მართალი, ფსიქოლოგიური სიღრმით და ეროვნული კოლორიტით აღბეჭდილი ხასიათები, წამოაყენოს და გადაჭრას ჩვენი დღევანდელობის არაერთი მტკივნეული საკითხი.

ვიდრე ამ ხასიათებსა და პორტრეტებს მივხედავდეთ, საჭიროა რამდენიმე სიტყვა ითქვას პერსონაჟზე, რომელმაც ეს მთავარი ამბავი მოახდინა, — ჯიბრაილ ხელთუფლიშვილს თანამდებობა დაატოვებინა და რომანის სიუჟეტის განვითარებას სათავე დაუდო.

ეს პერსონაჟი — სამთო ზედამხედველი დამიანე ქყონია გახლავთ. სახელმწიფო მას საკმაოდ დიდ ხელფასს უხდის მხოლოდ იმისათვის, რომ კონტროლი გაუწიოს შახტებში მომუშავეთა უსაფრთხოებას, უზრუნველყოს მეშახტეთა შრომის ნორმალური, უხიფათო პირობები. ამის მეტი დამიანე ქყონიას არაფერი ევალება. უფლებები კი მას ძალიან დიდი აქვს. მაგალითად, თუ გამოირკვა, რომ რომელიმე შახტზე და უბანზე მომუშავეთა უხიფათობა ჯეროვნად უზრუნველყოფილი არ არის, სამთო ზედამხედველს შეუძლია, სულაც დაჰკეტოს ის შახტი თუ უბანი. მას არაფერი ესაქმება იმასთან, რომ ქვანახშირის ამოღების გეგმა შეუსრულებელი დარჩება. ამაზე შახტის ადმინისტრაციამ იზრუნოს. სამთო ზედამხედველის ერთადერთი საზრუნავი ის არის, რომ ადამიანები, მეშახტეები რაიმე ხიფათს არ გადაეყარონ.

როგორ ასრულებს თავის მოვალეობას დამიანე ქყონია? საერთოდ, როგორი ადამიანი, როგორი მოქალაქეა ეს კაცი, რომელსაც ასეთი საპასუხისმგებლო საქმე აბარია?

უნდა ითქვას, რომ უკვე აქ, რომანის დასაწყისშივე მჟღავნდება პერსონაჟების ხატვის ავტორისეული მანერა. დამიანე ქყონია სულ ორჯერ თუ სამჯერ ჩნდება რომანის ფურცლებზე. ფაქტიურად ეს ეპიზოდური სახეა. მაგრამ მკითხველი თვალნათლივ ხედავს ამ კაცის რთულ, წინააღმდეგობრივ ბუნებას. იგი, ერთსადაიმავე დროს, მკაცრიცაა, სასტიკიც კი — და ადამიანურიც; ახალგაზრდა მეშახტის იორამ ნოსელიძის ტრაგიკული დაღუპვა მასში წრფელ მწუხარებას და გულისწყრომას იწვევს დაუდევარი უფროსების მიმართ; იგი მომთმენიცაა, სულგრძელიც — და დაუნდობელიც. მან თავის დროზე აპატია შახტის უფროსს თანამდებობაზე უსწავლელი ჯიბრაილ ხელთუფლიშვილის დანიშვნა, რაკი დაინახა, რომ მას სხვა გზა აღარ ჰქონდა; მაგრამ შემდეგ დაუყოვნებლივ მოახსნევინა ჯიბრაილი, როგორც კი უბანზე უბედური შემთხვევა მოხდა. დამიანე ქყონიას ყოველ ნაბიჯზე, ყოველ სიტყვაზე ეტყობა, რომ ცხოვრების დიდი გზა აქვს გავლილი, კარგად იცის მეშახტეების ყოფისა და შრომის ანბანი, არაფერში ტყუვდება და არასოდეს ცდება. ასე გასინჯეთ, ამ სასტიკ კაცს იუმორის გრძნობაც კი გააჩნია.

მაგრამ მაინც როგორ უნდა შეფასდეს დამიანეს საქციელი ამ კონკრეტულ შემთხვევაში — ჯიბრაილის მოხსნასთან დაკავშირებით?

მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითად. აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ჯიბრაილს ხსნიან არა იმიტომ, რომ სამთო განათლება არა აქვს და ამიტომ მუშაობაში შეცდომები მოსდის; ასე რომ მოქცეულიყვნენ, ჯიბრაილი, ალბათ, არც კი განაწყენდებოდა. იგი უბრალო, ალალმართალი ადამიანია და პატივმოყვარე სრულიადაც არ არის. მაგრამ იგი უხეშად, განუკითხავად, საქმის გამოუძიებლად, ცილის დაწამებითაც კი მოხსნეს. დამიანე ქყონია დარწმუნებულია, რომ მას აქვს ასე უხეშად და განუკითხავად მოქცევის უფლება. საგულისხმოც სწორედ ეს მომენტია.

ასე უხეშად ზოგჯერ სწორედ ის ადამიანი მოიქცევა ხოლმე, ვინც სამსახურებრივადაც და თავისი ბუნებითაც სხვათა კეთილდღეობისთვის იღვწის. ეს პარადოქსი არ გახლავთ: ამ ადამიანებს, ბოლოს და ბოლოს, ასეთი რწმენა უჩნდებათ და უმტკიცდებათ — ჩვენ ყველაფრის უფლება გვაქვს, ჩვენთვის კანონი არ არსებობს, ჩვენ ასობით ადამიანის კეთილდღეობისათვის თამამად შეგვიძლია გავიმეტოთ და გავწიროთ ერთეულებიო; ამ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ ასებიცა და ათასებიც ერთეულებისაგან შედგებიან.

დამიანე ქყონიას საქციელი — ეს, თუ გნებავთ, პატიოსანი, უანგარო, თავისი საქმის ერთგული ადამიანის უხეში შეცდომაა, რასაც ცხოვრებაში ხშირად უფრო მძიმე შედეგები მოსდევს, ვიდრე ასი ვიგინდარას და მიმტაცებლის ანგარებიან მაქინაციებს. სწორედ ამიტომაც იწვევს ეს პერსონაჟი მკითხველში ორმაგ გრძნობას. სულის სიღრმეში ჩვენ არ შეიძლება არ მოგვწონდეს ეს მტკიცე ხასიათის, დაუდგრომელი, შეუპოვარი ბერიკაცი. მაგრამ ჯიბრაილისადმი მისი მოქცევა ჩვენში მძაფრი პროტესტის გრძნობას იწვევს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ „გვიმრის ფოთლების" მთავარ პერსონაჟს.

რომანის ავტორი თავის მთავარ გმირს დასაწყისიდანვე მწვავე სიტუაციაში აქცევს. ჯიბრაილის სახეს თავიდანვე უკავშირდება ნაწარმოების ერთი უმთავრესი პრობლემათაგანი, — პრობლემა პიროვნების და კოლექტივის ურთიერთობისა, პრობლემა პიროვნების პასუხისმგებლობისა კოლექტივის წინაშე.

ამ პრობლემის სწორი გააზრებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ორი მომენტი: ერთი ის, რომ ხელმძღვანელის პოსტი მეტად მნიშვნელოვანია ქვანახშირის შახტებში, სადაც ადამიანის ყოველი ნაბიჯი დაკავშირებულია ხიფათთან: ბრძოლის ველზე ოფიცერი პასუხს აგებს ყოველი ჯარისკაცისათვის. მაგრამ ჯარისკაცმა უნდა იბრძოლოს. სხვანაირად ფრონტზე მის ყოფნას აზრი არა აქვს. ეს ერთი, მეორე კი ის არის, რომ როგორი დიდი ღვაწლიც არ უნდა მიუძღოდეს პიროვნებას, ხელმძღვანელს კოლექტივის წინაშე, იგი, ამავე დროს, უთუოდ დიდადაა დავალებული თვითონ კოლექტივისაგან: ლაჩრების ბრბოს წინ თუნდაც ალექსანდრე მაკედონელი წაუძღვარე, მაინც ვერაფერს გახდება; ჯანსაღ, ძლიერ კოლექტივს კი თვითონ შეუძლია ხელმძღვანელის აღზრდა თავისი სახისა და მორალური საწყისების შესაბამისად.

მკითხველი, რომელიც პირველი გვერდებიდანვე კითხვის წინაშე დგება: ვინ არის ჯიბრაილი — მართლა გმირი და სულგრძელი ვაჟკაცი, რომელიც საერთო საქმეს ყველაფერზე მაღლა აყენებს და რომელმაც იცის კოლექტივის ფასი, თუ ჩვეულებრივი ობივატელი, რომელსაც მეშახტეთა ხელმძღვანელობა მხოლოდ ბრმა შემთხვევამ არგუნა.

ამ კითხვის საბოლოო პასუხს მკითხველი მხოლოდ რომანის დასასრულს მიიღებს: და ეს პასუხი შესაძლოა ცოტა მოულოდნელიც კი აღმოჩნდეს იმისათვის, ვინც მწვავე ცხოვრებისეულ პრობლემებზე მუდამ მხოლოდ ერთნიშნიან, ამომწურავ და უკატეგორიულეს პასუხს ელის, ვინც ყველა საკითხის სწრაფად, ადვილად, ერთი ხელის მოსმით გადაწყვეტასაა მიჩვეული.

დიახ, ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი მართლაც არაჩვეულებრივ ძლიერი პიროვნებაა. თავისი ვაჟკაცობის, ალალმართლობის, უშიშრობის, ქედუხრელობის წყალობით იგი მოწოდებულია ადამიანებს წინ მიუძღოდეს, ბოროტებას თრგუნავდეს და სიმართლეს, სიკეთეს, პატიოსნებას ამკვიდრებდეს. მაგრამ იგი ვერ ერევა შეურაცხყოფილ თავმოყვარეობას. მან საკუთარი თავის ფასი გადაივიწყა, საკუთარი ღირსებები უგულებელყო და აქ არის მისი ტრაგიკული შეცდომების სათავეც. ამხანაგებისადმი ერთგულებას, მშრომელი ვაჟკაცის შეუბღალავ სახელს მან, — მართალია დიდი შინაგანი ბრძოლის შემდეგ. — თავისი ერთგული და მოყვარული, მაგრამ პატივმოყვარე, სახელსა და დიდებას დახარბებული ცოლისადმი მორჩილება ამჯობინა, პატიოსან ცხოვრებას გაექცა და ამ წუთისოფლის გავლა გაიოლებული გზით სცადა. საამისოდ მან ზნეობრივი კომპრომისიც კი იკადრა, ატესტატის აღებას უკუღმართი გზით შეეცადა, მაგრამ თვითონ ცხოვრება გამოდგა სამართლიანი, მკაცრი და მომთხოვნი, ცხოვრებამ თვითონ გაახსენა ჯიბრაილს, რომ მას, ბუნებით ალალმართალ, უშიშარ და ქედუხრელ ვაჟკაცს არა აქვს ცხოვრებისაგან განდგომის და გულზე ხელების დაკრეფის უფლება. ადამიანებს ჯიბრაილისთანა ვაჟკაცები მუდამ სჭირდებათ, მიუხედავად იმისა, მათ რაიმე თანამდებობა უჭირავთ თუ არა. საბოლოოდ გამოფხიზლებული, სულიერად კვლავ ამაღლებული ჯიბრაილი რომანის დასასრულს საზოგადოების ხორცმეტთან, ბანდიტსა და გარეწარ დურმიშხან ზენაიშვილთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იღუპება. მკითხველი ღრმა გულისტკივილით განიცდის მის დაღუპვას, მაგრამ გრძნობს, რომ უბანზე უკვე მომძლავრებული არიან კეთილი ძალები, რომლებიც აღგვიან იმ ბოროტებას, მათი სახელოვანი თანამოძმე რომ იმსხვერპლა.

მაგრამ ჯიბრაილის დაღუპვამდე მკითხველს დიდი გზა აქვს გასავლელი. ამ გზაზე იგი ჩვენი თანამედროვეების მრავალ ოსტატურად გამოძერწილ სახეს შეხვდება. ჩვენი დღევანდელობის მრავალ საჭირბოროტო საკითხს ჩაუფიქრდება. ჭეშმარიტი ცხოვრებისეულობა, ემპირიული მასალის ღრმა ცოდნა და მისი მაღალ მხატვრულ დონეზე გააზრება არის რამაზ კობიძის ვრცელი ეპოპეის ერთი უმთავრესი ნიშანთაგანი.

რა საოცრადაც არ უნდა გვეჩვენოს, რომანს ერთი მთავარი გმირი არა ჰყავს. ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი ერთი უმთავრესი პერსონაჟიაო. იგივე უნდა ითქვას ახალგაზრდა ინჟინერზე, თეიმურაზ არჯევანიძეზე, ასეთსავე განსაზღვრას იმსახურებს თბილისელი ქალიშვილი ნათია ავალიშვილი. რომანის კომპოზიციურ ჩარჩოს ამ სამი პერსონაჟის ცხოვრება ქმნის; მხოლოდ თვითონ ამ სამ სახეს ერთმანეთთან იმდენად სიუჟეტური ძაფები არ აკავშირებს, რამდენადაც რომანის მოქმედების საერთო დრო და მორალურ-ეთიკური პრობლემატიკა.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რომანს თავისებური, ღრმად გააზრებული არქიტექტონიკა აქვს. ავტორს მოქმედება თბილისიდან ხშირად გადააქვს ქვანახშირის ქალაქში, მერე ისევ თბილისში, ისევ ქვანახშირის ქალაქში, მერე ქუთაისში და ა. შ. მაგრამ მოქმედებისას ხშირი გადაადგილება ისე ოსტატურად ხდება, იმდენად ლოგიკური და თანმიმდევრულია, რომ მკითხველი საერთო პერსპექტივას ერთი წუთითაც კი არ ჰკარგავს.

თანამდებობიდან გადაყენებული ჯიბრაილის ადგილს ახალგაზრდა ინჟინერი თეიმურაზ არჯევანიძე იჭერს. ჯიბრაილის მოხსნით განაწყენებული მეშახტეები თეიმურაზს სკეპტიკურად ხვდებიან. მკითხველი ახალი კითხვის წინაშე დგება — შესძლებს ეს გამოუცდელი, ქალაქურ ცხოვრებას მიჩვეული ახალგაზრდა მძიმე და სახიფათო პროფესიის მქონე ადამიანების, მეშახტეების გულის მონადირებას? ჯიბრაილს უბანი ხომ საათივით ჰქონდა აწყობილი. რა მოელის უბანს და მეშახტეებს თეიმურაზის ხელში? თეიმურაზი და ჯიბრაილი მთელი რომანის მანძილზე ერთმანეთს ერთხელაც არ შეხვდებიან, მაგრამ მკითხველს სრული შესაძლებლობა ეძლევა ეს ორი პიროვნება ერთმანეთს შეადაროს და დაინახოს თუ რა ძლიერ განსხვავდებიან არა მარტო ბიოგრაფიებით, არამედ პიროვნული თვისებებითაც, მსოფლშეგრძნებითაც, მუშაობისა და ადამიანებთან ურთიერთობის სტილითაც. შახტში მუშაობის დიდი გამოცდილება და მეშახტეთა ნდობა ჯიბრაილს დიდ სითამამესაც ანიჭებდა. მას არაფრად ულირდა სანგრევში მუშაობის კანონების დარღვევა და გეგმის ზევით 200 თუ 300 ტონა ქვანახშირის ამოღება. ასეთ სახიფათო საქმეს ჯიბრაილი მეტად თავდაჯერებულად, არხეინი ღიმილით აკეთებდა და ერთხელაც არ შემცდარა. კიდეც რომ შემცდარიყო, მეშახტეები მას მაინც არ შემოსწყრებოდნენ, ჯიბრაილი მათი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგან იყო. ხოლო უმაღლესი სამთო განათლებით აღჭურვილი, წინდახედული, აკადემიურად მოაზროვნე თეიმურაზისათვის სრულიად უცხოა ასეთი „საწარმოო ავანტიურიზმი", უბნის მუშაობას იგი სამთო კანონების ზუსტი დაცვით ხელმძღვანელობს და მეშახტეთა ნდობის მოპოვებას სწორედ ამ გზით ცდილობს.

დრო მიდის, უბანი უწინდებურად ნორმალურად მუშაობს. მეშახტეებში არის რამდენიმე უკმაყოფილო — ჯიბრაილის დროს მეტი გამომუშავება გვქონდაო; მაგრამ სერიოზული, გამოცდილი მეშახტეები ამას არაფრად დაგიდევენ და თეიმურაზს სულ უფრო და უფრო მეტი ნდობითა და პატივისცემით ეპყრობიან. მით უმეტეს, რომ თეიმურაზის მხარეზე გადაჭრით დგება მოხუცი, ყველას მიერ პატივცემული მებიგე გერასიმე ცნობილაძე. მაგრამ თეიმურაზი თვითონვე გრძნობს, რომ მუშაობაში მას ზოგჯერ უბრალოდ ბედი წყალობს, ზოგჯერ ფონს ისევ იმ გამოცდილი მეშახტეების წყალობით გადის. ამასობაში გერასიმე ცნობილაძე კიბოთი იღუპება, ყველაფერ ამას ემატება თეიმურაზის უიღბლო რომანი მეშახტე ქალთან — გოგოლა ხომასურიძესთან. თეიმურაზი ქალს ძალიან სათუთად და პატიოსნად ეპყრობა, მაგრამ ეს რომანი მისთვის მხოლოდ ეპიზოდია, მას ნათია არ ავიწყდება, გოგოლას კი თეიმურაზი მთელი თავისი არსებით უყვარს. მეშახტეები ამას მშვენივრად ხედავენ და მოურიდებლად ამჟღავნებენ თავიანთ დამოკიდებულებას ამ ცალმხრივი სიყვარულისადმი. და რომანის დასასრულს თეიმურაზ არჯევანიძე მტკიცე გადაწყვეტილებას იღებს, იგი უარს ამბობს უბნის უფროსის თანამდებობაზე და შრომით ცხოვრებას უბრალო ცვლის უფროსობით იწყებს.

ახალგაზრდა ინჟინერი უსასრულოდ იზრდება მკითხველის თვალში: ასეთი სერიოზული დამოკიდებულება ცხოვრებისადმი მართლაც რომ სანიმუშოა ყველა ახალგაზრდისათვის.

სულ სხვა რიგის პრობლემა დგას ნათია ავალიშვილის წინაშე. თუ ჯიბრაილ ხელთუფლიშვილისა და თეიმურაზ არჯევანიძის ბედი თვითონ ამ ადამიანების ხელშია, ნათია მძიმე, პირდაპირ გამოუვალ სიტუაციაში მისივე დედამ ჩააყენა. ამ ახალგაზრდამ, ზრდილმა, ინტელიგენტმა ქალმა თავისი საქციელი საბოლოოდ მაინც ვერ მოზომა და თავის ერთადერთ, უსაყვარლეს ქალიშვილს უმძიმესი სულიერი ტრამვა მიაყენა: ანდრო მთვარელიშვილი, რომელსაც ნათია თავისი ადრე დაღუპული მამის უახლოეს მეგობრად იცნობდა, სინამდვილეში მისი დედის — ნინოს საყვარელი აღმოჩნდა. ნინო და ანდრო მყისვე შეეცდებიან თავიანთი შეცდომის გამოსწორებას და კანონიერად შეუღლდებიან, მაგრამ გვიანღაა. ნათიას უკვე დაკარგული აქვს ადამიანებისადმი რწმენა. უახლოესი ადამიანისადმი — საკუთარი დედისადმი მძაფრი პროტესტის გრძნობით შეპყრობილი, როგორც ასეთ დროს ყოველთვის ხდება ხოლმე, მთელ ქვეყნიერებას უმხედრდება. იგი გამომწვევად, უხიაკად იქცევა ყველგან — სახლშიც, ქუჩაშიც, ინსტიტუტშიც, აუტანელია უფროსებთან ურთიერთობაში. დემონსტრატიულად მეგობრობს უსაქმურებთან და სალახანებთან, უფრო მეტიც: ნათია უხეშად იშორებს თავიდან თეიმურაზ არჯევანიძესაც, რომლისადმიც სულის სიღრმეში ნამდვილ სიმპატიას განიცდის. ბოლოს ყველაფერი იმით მთავრდება, რომ ნათიას ძრწოლა შეიპყრობს, უნივერსიტეტის ბაღში მომხდარი მკვლელობის მიზეზი მე ხომ არა ვარო, და რათა როგორმე ნავსაყუდელი ჰპოვოს და აფორიაქებული სული დაიმშვიდოს, სასწრაფოდ მიჰყვება ცოლად სახელოვან სპორტსმენსა და ვაჟკაცს ნომალი დიხამინჯიას. ზრდილ, თავმდაბალ ნომალის თავისი ლამაზი, ამაყი და მომხიბვლელი ცოლი ნამდვილი, ღრმა სიყვარულით უყვარს, მაგრამ მტკიცე ოჯახის შექმნას ახალგაზრდები მაინც ვერ ახერხებენ. ნათიას ძალიან მძიმე ტვირთად აწევს საკუთარი დედის შეცდომა და ის ყველაფერი, რაც ამ შეცდომას მოჰყვა. რათა როგორმე საკუთარი თავის პატივისცემა აღიდგინოს, ნათია იძულებულია ნომალის გაშორდეს. ნათია მოყვარულ, სრულიად უდანაშაულო ქმარს უხდის იმ მძიმე სულიერ ტრამვის სამაგიეროს, რომელიც ოდესღაც საკუთარმა დედამ მიაყენა.

ავტორის პოზიცია აქ მეტად საგულისხმო და დამაფიქრებელია: განუზომლად უფრო ძნელი და მტკივნეულია ცხოვრებაში სწორი გზის მონახვა, თუ ეს გზა სხვისი მიზეზით აგერია. ადამიანი საკუთარ შეცდომებს უფრო ადვილად, უფრო ნაკლები დანაკარგებით აღწევს თავს, ვიდრე სხვების შეცდომებს, მით უმეტეს, თუ ეს სხვა ძალიან ახლობელი ადამიანია. ამიტომ ადამიანი ვალდებულია, სხვების ბედ-იღბალს და სულიერ წონასწორობას უფრო მეტადაც კი უფრთხილდებოდეს, ვიდრე საკუთარს.

რომანის დასასრულს ნათიასა და თეიმურაზს ისევ გზა ეხსნებათ ერთმანეთისაკენ. მათ შეერთებას ხელი აღარაფერმა უნდა შეუშალოს, თუ ნათიამ ობივატელური ცრურწმენა დაძლია, თბილისი მიატოვა და ქვანახშირის ქალაქში წავიდა. თბილისთან ნათიას აღარაფერი აკავშირებს, ხოლო ამ ამაყ და თავმოყვარე ქალიშვილს, უაზროდ და უმიზნოდ ცხოვრება არ შეუძლია. ამავე დროს, თეიმურაზია ერთადერთი ადამიანი, ვინც მას გაუგებს და მხარში ამოუდგება.

ნათია ავალიშვილის ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ძალით ჩანს „გვიმრის ფოთლების" ნიშანდობლივი თვისება: ავტორი სრულიადაც არ გვიხატავს ჩვენს ცხოვრებას გაიოლებულად, ვარდისფერი სალებავებით, პირიქით, რომანის ყოველ პერსონაჟს თავისი ცხოვრების გზაზე დიდი სიძნელეების გადალახვა უხდება. ამ რთულ კონფლიქტურ სიტუაციებში იწრთობა და ყალიბდება გმირთა ხასიათები; სწორედ ეს არის დიდი სიმართლეც ჩვენი დღევანდელობის საუკეთესო ადამიანებზე. თავდაუზოგავი შრომა, ბრძოლა, მაღალი ზნეობრივი იდეალებისადმი ერთგულება, სიამაყე, სიმამაცე და კეთილშობილება, სიმართლის სიყვარული და ყოველგვარი სიმდაბლის, ანგარების, სიცრუის, ფარისევლობის სიძულვილი — ეს თვისებები გამოარჩევენ რამაზ კობიძის რომანის მთავარ პერსონაჟებს. თავიანთ გზას ცხოვრებაში ისინი ამ თვისებებით აღჭურვილნი იკვალავენ. დაე, ნურც ერთი მათგანი ნუ იქნება დაზღვეული შეცდომებისაგან, საკუთარი შეცდომების შეცნობა, დაძლევა და მუდმივი ზნეობრივი სრულყოფა — ასეთია ამ პერსონაჟთა სულიერი ცხოვრების ნიშანსვეტები.

სამი მთავარი გმირის გვერდით რომანში კიდევ რამდენიმე ათეული პერსონაჟი მოქმედებს. ბევრ მათგანს მკაფიოდ ჩამოყალიბებული იდეურ-მხატვრული ფუნქცია გააჩნია. საგაზეთო წერილი არ იძლევა საშუალებას ყველა მათგანის დახასიათებისათვის. დასკვნისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ „გვიმრის ფოთლები" დასახლებულია უბრალო მშრომელებით, უანგარო, სულგრძელი, კეთილი, გამტანი ადამიანებით. ისინი სადღაც უჰაერო სივრცეში კი არ ცხოვრობენ, მათ გვერდით საკმაოდ არიან მომხვეჭელნიც და კარიერისტებიც, მეთვალთმაქცეებიც და მექრთამეებიც, მხდალებიც და შრომის დეზერტირებიც. მაგრამ პატიოსანი მშრომელები თავდადებით იბრძვიან ამ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ, ჰქმნიან ჩვენი ხალხის აწმყოს და კიდევ უფრო დიდებული მომავლის რწმენას გვიღვივებენ.

## მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა

# პიროვნების მეცნიერული შესწავლა

ვლადიმერ გრიგოლავა

არისტოტელე ადამიანში ორგვარი სულის არსებობას ამტკიცებდა, რომელთაგან ერთი ე. წ. „ცხოველური სული" ადამიანის ინდივიდუალურ ცხოვრებასთან ერთად ისპობა, ხოლო მეორე — ადამიანური სული, მარადიულია და არასოდეს კვდებაო.

ადამიანის სულის ამ განსაზღვრებას თუ იდეალისტურ სამოსელს ჩამოვაცილებთ, შეიძლება თამამად ვამტკიცოთ, რომ ადამიანური სული სწორედ ის არის, რაც სხეულის სიკვდილის შემდეგ რჩება ამქვეყნად მისი შემოქმედების, მისი ნაღვაწის სახით.

სულის უკვდავების ასეთი მაგალითებია უთუოდ ფიდიასის, მიქელანჯელოს, დანტეს, რუსთაველის, ბეთჰოვენის, დოსტოევსკის, ვაჟას, აკაკის, ფიროსმანის, გალაკტიონისა და მრავალ სხვათა შემოქმედება, რომელთა მარადიულობა კაცობრიობის მარადიულობას უტოლდება თავისი მნიშვნელობით. მეორეს მხრივ არც კაცობრიობის მარადიულობა იქნებოდა ასე ხელშესახები, ეს კორიფეები რომ არ მოვლენოდნენ დედამიწას.

ადამიანის სულის სწორედ ამ უკვდავი, მარადიული ნაწილის ფსიქოლოგიური ბუნების შესწავლას მიუძღვნა თავისი მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობის დიდი ნაწილი, ჩვენმა გამოჩენილმა ფსიქოლოგმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პიროვნების კვლევის განყოფილების გამგემ, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვლადიმერ ნორაკიძემ, რომელსაც ახლახან შეუსრულდა დაბადებიდან 75 წელი.

ფსიქოლოგია ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი მეცნიერებაა, ვინაიდან იგი ბუნების ყველაზე დიდ საოცრებას — ადამიანის ფსიქიკას სწავლობს. ამიტომ იყო, რომ დიდი გერმანელი მოაზროვნე ემანუილ კანტი საერთოდ უარყოფდა ფსიქოლოგიას, როგორც მეცნიერებას, ვინაიდან მიაჩნდა, რომ მოვლენა, რომელიც ისე რთულია, რომ მისი მათემატიკური გაზომვა შეუძლებელია, არ შეიძლება მეცნიერული შესწავლის საგანი გახდესო. ასეთ გაუზომავად მოვლენებად მას, როგორც ცნობილია, აზროვნება, ნებელობა, გრძნობები, ემოციები და სხვა ფსიქიკური ფუნქციები მიაჩნდა.

ვ. ნორაკიძემ, რომელმაც გაბედულად უგულებელყო დიდი ფილოსოფოსის შეხედულება, კიდევ უფრო რთული მისიის შესრულება დაიკისრა მეცნიერებაში, ვიდრე ფსიქიკური მოვლენების შესწავლაა. მან ყველა ფსიქიკურ ფენომენთა მატარებელი სუბსტრატის, პიროვნების შესწავლა დაისახა მიზნად.

როდესაც ვ. ნორაკიძის მონოგრაფია „პიროვნების ხასიათის კვლევის მეთოდები" პირველად გამოქვეყნდა რუსულ ენაზე 1975 წელს, სულ რამდენიმე დღეში გაჰქრა წიგნის ბაზარზე, ვინაიდან მთელი ტირაჟის სამი მეოთხედი უცხოეთის წიგნით მოვაჭრე დაწესებულებებმა შეიძინეს გამოქვეყნებამდე. ამიტომ საბჭოთა ფსიქოლოგების მოთხოვნილება რომ დაეკმაყოფილებინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებას", მომდევნო წელს შრომის მეორედ გამოქვეყნება დასჭირდა.

ეს ფაქტი ერთის მხრივ იმაზე მიუთითებს, თუ რაოდენ აქტუალურია პიროვნების პრობლემა თანამედროვე ფსიქოლოგიაში, ხოლო მეორეს მხრივ იმაზე, თუ რა საინტერესო და ორიგინალური გზები იპოვნა ვ. ნორაკიძემ ამ პრობლემის გადასაჭრელად.

ქართული ფსიქოლოგიური სკოლის დამაარსებლის, დ. უზნაძის ე. წ. ფიქსირებული განწყობის მეთოდი გახდა ის ძირითადი მეცნიერული ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ვ. ნორაკიძემ ადამიანის პიროვნების შესწავლას მიჰყო ხელი და მნიშვნელოვანი წარმატებებიც მოიპოვა.

ცნობილია, რომ პიროვნების შესწავლის უამრავი და ურთულესი მეთოდები არსებობს (ფროიდი, რორშახი, ეიზენკი და სხვ.), ხოლო ვ. ნორაკიძის კვლევის თავისებურება ის არის, რომ იგი უმარტივესი მეთოდით ცდილობს პიროვნების ურთულესი თვისებების შესწავლას, თვით პიროვნების სტატუსის დადგენას.

დ. უზნაძემ თავის უკანასკნელ და განმაზოგადებელ მონოგრაფიაში: „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები" (1949 წ.) სპეციალური თავი („ხასიათის ტიპების პრობლემისათვის") მიუძღვნა პიროვნების კვლევის იმ მეთოდის განხილვას, რომელიც მისი ხელმძღვანელობით ვ. ნორაკიძემ შეიმუშავა და ამ უკანასკნელის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი შრომა მოიტანა ერთადერთ წყაროდ თავისი დებულებების დასამტკიცებლად. ეს დიდი აღიარება იყო და შესაძლოა ამიტომაც თავისი მეცნიერული მოღვაწეობის ძირითად მიმართულებად სწორედ ეს პრობლემა დაიტოვა ვ. ნორაკიძემ.

ვ. ნორაკიძის მიერ დადასტურებული სამი ძირითადი ტიპი ადამიანებისა (დინამიკური, სტატიკური და ვარიაბილური) დღეს უკვე ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა ფსიქოლოგიაში და ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ტიპოლოგიად არის მიჩნეული, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთაც. ასე მაგალითად, კანადელ ფსიქოლოგთა ერთი ჯგუფი, ქ. კალგარში, ნორაკიძის მეთოდით სწავლობს ტიპოლოგიის საკითხებს და საყურადღებო მასალებიც აქვს მიღებული, რომლის შედეგები საერთაშორისო ფსიქოლოგიურ ჟურნალშია გამოქვეყნებული (პარიზი 1975 წ.).

ვ. ნორაკიძე მონაწილეა რამდენიმე ყრილობისა და კონგრესისა, რომლებიც უკანასკნელ წლებში ჩვენში და საზღვარგარეთ ჩატარდა, მისი შრომები რამდენჯერმე გამოქვეყნდა საზღვარგარეთის პრესაში, ხოლო მისი უკანასკნელი მონოგრაფია „პიროვნების ხასიათის კვლევის მეთოდები" მალე დაისტამბება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში.

საინტერესო ცხოვრების გზა განვლო ვ. ნორაკიძემ. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი თბილისში გადმოვიდა სასწავლებლად და თბილისის ახლად დაარსებული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1927 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვ. ნორაკიძე ფიზიკასა და მათემატიკას ასწავლის ყაზბეგის რაიონის სკოლებში. ოციან წლებში, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ ახალგაზრდობის სავალდებულო სწავლება შემოიღო და წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია დაისახა მიზნად, პედაგოგთა კადრების დიდი გაჭირვება იყო ჩვენს ქვეყანაში და ვისაც რა შეეძლო, ან უფრო სწორედ რასაც დაავალებდნენ, იმას ასწავლიდა. ყაზბეგში მოღვაწეობამ, მოხევეთა ყოფა-ცხოვრების ახლო გაცნობამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჭაბუკ მასწავლებელზე. სწორედ მაშინ, მთის მკაცრ პირობებში, როდესაც სამკვდრო-სასიცოცხლო სოციალური ბრძოლა წარმოებდა ძველსა და ახალ ყოფას შორის, პირველად შენიშნა ვ. ნორაკიძემ, რომ ადამიანები ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ხასიათის მიხედვით, როგორც თმის ან თვალის ფერით, ცხვირის მოყვანილობით თუ სხეულის აღნაგობით; მაგრამ თუ ამ ნიშანთა მიხედვით ადამიანების ერთმანეთისაგან გარჩევა ადვილია. და უშუალო აღქმის გზით ეძლევა ადამიანებს, ხასიათის დანახვისათვის, მისი გაგებისათვის, მეცნიერული მეთოდების მოშველიებაა აუცილებელი.

გენიოსი მწერლები ინტუიტურად წვდებიან ადამიანის სულის სიღრმეებს, ისე, რომ არავინ იცის თუ რა „მეთოდს" მიმართავენ ისინი ამ მიზნით, მაგრამ ერთია სულის სიღრმეების წვდომა ინტუიტურად და მათი აღწერა, ხოლო მეორე — სულის მეცნიერული შესწავლა პრაქტიკული დანიშნულებისათვის.

დღეს სადავო არ არის, რომ პიროვნების მეცნიერულ-ფსიქოლოგიური შესწავლის საქმის პიონერი საქართველოში ვ. ნორაკიძეა, რომელიც იმთავითვე ხელოვნების მოღვაწეთა პიროვნების შესწავლამ გაიტაცა პირველ რიგში. ეს, ალბათ, გასაგებიცაა: თავად პოეტური სულის ადამიანი, რომელიც ჯერ კიდევ 1922 წელს დააინტერესა და გაიტაცა ტერენტი გრანელისა და ხ. ვარდოშვილის შემოქმედებამ (იხ. ჟურნალები „ახალი გზა" და „თეატრი და ცხოვრება", 1922 წ.), ადამიანი, რომელმაც მორიდებულად შეაღო მწერლობის კარიბჭე (ჟურნალ „ქართულ მწერლობაში" დაიბეჭდა მისი მოთხრობა „ბანზე დასხდომა") და ბუნებით მოკრძალებულ ადამიანს მხოლოდ სითამამე არ ეყო კვლავ განეგრძო ეს საქმე, შეუძლებელია გულგრილი დარჩენილიყო ხელოვნების მოღვაწეთა პიროვნების შესწავლის მიმართ.

ამავე პერიოდში ჟურნალში „უქიმერიონი" გამოქვეყნდა მისი კრიტიკული გამოკვლევა „სევდა თუ გადარევა?", რომელშიც მისტიციზმისა და ფუტურიზმის თეორიული საკითხებია განხილული.

როგორც ვხედავთ, ვ. ნორაკიძე ჭაბუკობიდანვე ფართო ინტერესს ამჟღავნებს ხელოვნების მიმართ და ასეთი დაინტერესების შედეგი ფრიად ნაყოფიერი და საინტერესო გამოდგა: „ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნება" (1968), „ლადო გუდიაშვილი" (1976), „ლევან გოთუა" (1976), „კორნელი სანაძე" (1977), ისეთი ფსიქოლოგიური გამოკვლევებია, რომელთაც სერიოზული ანგარიში უნდა გაუწიოს ყველა მკვლევარმა, რომლებიც ამ მოღვაწეთა შემოქმედების შესწავლას განიზრახავენ.

ვ. ნორაკიძის ვრცელი გამოკვლევა „ადამიანის იდეა „ვეფხისტყაოსანში" რუსთველოლოგიის მნიშვნელოვანი, და ამავე დროს, უნიკალური შენაძენია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ამ ნაწარმოებში ავტორი შემდეგი ძირითადი ამოცანების გარკვევას ისახავს მიზნად: რას წარმოადგენენ რუსთაველის ძირითადი პერსონაჟები, როგორც მსოფლმხედველობრივი, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რომელ ტიპებს განეკუთვნებიან ისინი? რა ინტელექტუალური და ემოციური ძალები წარმართავენ მათ მოქმედებას?

ვ. ნორაკიძე ასე ამთავრებს თავის მონოგრაფიას: „გადაავლო რა სიბრძნის თვალი თავისი პოემის გმირების მღელვარე ბრძოლას სისრულის მისაღწევად და ამ ბრძოლის ნაყოფს — „არავისგან მისანდობელი" „საწუთროს" ფარგლებში მომწყვდეულ ადამიანთა ბედს, მხოლოდ და მხოლოდ რუსთაველს შეეძლო ეთქვა ჯანმრთელი პესიმიზმითა და ამაღლებელი ირონიით აღსავსე სიტყვები: „გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა, გარდახდეს, გავლეს სოფელი, — ნახეთ სიმუხთლე ჟამისა! ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა".

მოხდენილი ნათქვამია: „ჯანმრთელი პესიმიზმი", „ამაღლებელი ირონია". არა მგონია ჩვენს რუსთველოლოგიაში ასე თამამად მიეთითებინოს ვინმეს რუსთაველის რეალისტურ, მართლაც რომ ჯანმრთელ პესიმიზმზე და ბედის ირონიაზე, რომელიც თითოეულ ადამიანს, თუნდაც გენიოსს, აჩრდილივით ადევნებია დაბადებითვე.

ვ. ნორაკიძემ პიროვნების, როგორც ფსიქოლოგიური კატეგორიის, გლობალური შესწავლა გაიხადა მეცნიერული შესწავლის საგნად და ამ მიზნით დ. უზნაძის მოძღვრება დაუდო საფუძვლად თავის კვლევას. მართალია ვ. ნორაკიძის ფსიქოლოგიური კვლევის ობიექტს კონკრეტული ინდივიდები წარმოადგენენ თავისი მრავალწახნაგოვანი ფსიქიკური თვისებებით, მაგრამ ასეთ კვლევას ვიწრო, ინდივიდუალური, მხოლოდ ამ კონკრეტული პიროვნების შესწავლა კი არა, ზოგადი მეცნიერული ამოცანა განსაზღვრავს: უჩვენოს, თუ როგორ, რა მეთოდებით არის შესაძლებელი საერთოდ პიროვნების კვლევა. ჩვენ, ყოველდღიურ სიტყვახმარებაში ადამიანებს ორ ძირითად ჯგუფად — „კარგებად" და „ცუდებად" ვყოფთ. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს თვისებები მათ ფიზიკური ნიშნების გამო კი არ მიეწერება, არამედ ფსიქიკური, პირველ რიგში ხასიათის გამო. მაგრამ ადამიანების ასეთი დაყოფა მოკლებულია რაიმე მეცნიერულ ღირებულებას. თითოეულმა ჩვენგანმა კარგად იცის და თუ „გულზე ხელს დავიდებთ", უნდა ვაღიაროთ კიდეც, რომ თითოეულ ადამიანს ჩვენ „კარგს" ვუწოდებთ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ კარგი დამოკიდებულება გამოუმჟღავნებიათ ჩვენს მიმართ, ხოლო სხვებს „ცუდებს" იმიტომ, რომ მათი ესა თუ ის მოქმედება ჩვენთვის არ ყოფილა ხელსაყრელი. ადამიანის ეს სუსტი მხარე საყოველთაოდ ცნობილია და ისიც ვიცით, რომ ჩვენ, ჩვეულებრივ, პიროვნებებს როდი ვაფასებთ „კარგად" ან „ცუდად", არამედ მის იმ თვისებებს, რომელთაც ან სარგებლობა მოაქვთ ჩვენთვის ან ზიანი.

მეცნიერებას, რომელიც პიროვნებას სწავლობს, ცხადია სხვა ამოცანა აკისრია: დაადგინოს თუ როგორია ესა თუ ის კონკრეტული პიროვნება ობიექტურად, ჩვენთან დამოკიდებულების გარეშე, როგორი ადამიანური თვისებები სჭარბობს მასში და სხვა. მაგალითად თუ პიროვნება ეგოისტი ან გამოკვეთილად პატივმოყვარეა, მას საზოგადოებრივი საქმეების გადაწყვეტა არ უნდა მიენდოს, თუ ბუნებით მხდალია, არ შეიძლება რაიმე მნიშვნელოვანი და სერიოზული საქმეების გადაწყვეტა დაეკისროს და ა. შ.

მარქსი ამბობს: „თუ პიროვნება შრომობს მხოლოდ თავისთვის, იგი შეიძლება, რა თქმა უნდა, გახდეს ცნობილი მეცნიერი, დიდი ბრძენი, საუცხოო პოეტი, მაგრამ ვერასოდეს გახდება იგი ჭეშმარიტად თანამედროვე და დიდი ადამიანი". თუ რაოდენი სიბრძნეა ამ სიტყვებში, თავისთავად ცხადია, მაგრამ აქედან ისიც გასაგებია, თუ რაოდენ პასუხსაგები ამოცანა აკისრია მეცნიერებას, რომელიც პიროვნების გლობალურ შესწავლას ლამობს, გასაგებია ის სიფრთხილე, რომელიც ამ მეცნიერებას მოეთხოვება.

ვ. ნორაკიძე დაჯილდოვებულია მეცნიერის ყველა იმ თვისებით, რომელიც საჭიროა ჭეშმარიტი დასკვნების გამოტანისათვის. ვინაიდან მან კარგად იცის, რომ თუ რაიმეს ესაჭიროება სიფრთხილით შესწავლა, პირველ რიგში, და განსაკუთრებით, ეს ადამიანის პიროვნების შესახებ ითქმის.

ვუსურვოთ ძვირფას იუბილარს დიდხანს სიცოცხლე და კვლავაც ნაყოფიერი შემოქმედება.

## ლიტერატურული ცხოვრება

# გამომცემლიდან მკითხველამდე

**წიგნის გამოცემის პრობლემებზე საუბრობენ პოეტი ტარიელ ჭანტურია და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორი, მწერალი გურამ ფანჯიკიძე**

— ვფიქრობ, ქართული წიგნის მოყვარულებს დიდად გაახარებთ იმის გაგება, რომ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" დიდი გადაჭარბებით შეასრულა 1979 წლის გეგმა და პირველი ადგილი მოიპოვა საქართველოს გამომცემლობებს შორის. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ ვიცით, რა რთულ პირობებში გიხდებოდათ მუშაობა. გულით გილოცავთ ამ წარმატებას.

— მადლობას მოგახსენებთ ჩვენი დიდი კოლექტივის სახელით. სასიხარულოა, რომ წლიურ გეგმას თითქმის შვიდი მილიონი ანაბეჭდი ფურცლით გადავაჭარბეთ: ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 400 დასახელებისა, გამოვეცით 521 დასახელების წიგნი და ბროშურა, ხოლო შრომითი წელი 595.000 მანეთის მოგებით დავამთავრეთ. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ „საბჭოთა საქართველოს" ამ ორიოდე წლის წინ, მისივე ინიციატივით, მოუხსნეს დოტაცია; არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გამომცემლობის რვა რედაქციიდან ექვსი ფინანსურად ძალზე წამგებიანია. ერთმა განყოფილებამ, მაგალითად, წელი 72 ათასი, ხოლო მეორემ — 75 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრა.

დიახ, გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ, მაგრამ... ჩვენს სიხარულს ერთი დიდი ჩრდილიც ახლავს: 1979 წლის თემატური გეგმიდან 1090 თაბახი მაინც გადაგვივიდა 1980 წლის თემატურ გეგმაში. მაშ გეგმა როგორღა შეასრულეთო? — იკითხავს გაოცებული მკითხველი. საქმეც ისაა, რომ 1979 წლის თემატურ გეგმას დაემატა ბრძანებით, დადგენილებით და შეკვეთით გამოცემული წიგნები.

სამწუხაროდ, ბევრი ორგანიზაცია არ ითვალისწინებს გამომცემლობის სპეციფიკას, მის გეგმიურ მუშაობას, არ იციან ან არ უნდათ გაიგონ, რომ გამომცემლობის გეგმები, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ორი წლით ადრე დგება. ისინი მხოლოდ უკანასკნელ წუთში წარმოადგენენ აუცილებლად გამოსაცემ წიგნებს და გამოუვალ მდგომარეობაში გვაყენებენ. გამომცემლობას აქვს, რასაკვირველია, რეზერვი, მაგრამ წესდების თანახმად ჩვენ შეგვიძლია სამისოდ დავიტოვოთ საერთო გეგმის მხოლოდ 10 პროცენტი, რაც 400 თაბახს შეადგენს, მაგრამ თუ კვლავ ასე გაგრძელდა, რეზერვი ოდნავადაც ვერ დაიტევს ბრძანებით და შეკვეთით გამოსაცემ ლიტერატურას. ხოლო ახლა, საერთოდ, რომელ რეზერვზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ, როცა 1090 თაბახი გადაგვივიდა გეგმიდან გეგმაში? ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1980 წლის გეგმიდან, შესაბამისად, 1090 თაბახი უნდა გადავიდეს 1981 წლის გეგმაში, და გადავიდა კიდეც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ თაბახებს უკან დგანან ავტორები, წლობით რომ ელიან წიგნის გამოცემას!

ეს მტკივნეული საკითხი რამდენჯერმე დავაყენეთ ზემდგომი ორგანოების წინაშე, ძალზე ქმედითი დახმარებაც აღმოგვიჩინეს და იმედი გვაქვს, თანდათანობით გადავჭრით ამ პრობლემას. თუმცა ამ გადასული თაბახების „ამოქაჩვა" არც ისე იოლი საქმეა. თვალსაჩინოებისთვის მოგახსენებთ, რომ 1978 წლის თემატური გეგმიდან 1979 წლის გეგმაში გადმოვიდა 1800 თაბახი, ე. ი. გეგმის თითქმის ნახევარი.

1979 წელს ამ 1800 თაბახიდან ე. წ. „გარდამავალი გეგმა" 710 თაბახით შევამცირეთ, მეტი ვეღარ შევძელით. წელს, ვფიქრობთ, 800-850 თაბახით კიდევ დავუახლოვდეთ თემატურ გეგმას. მხოლოდ 1981 წლიდან მოგვეცემა საშუალება, რომ თემატური გეგმა და რეზერვი იქცეს რეალურ გეგმად და რეალურ რეზერვად.

გამომცემლობამ რომ შესძლოს თავისი ამოცანების წარმატებით გადაჭრა და მუშაობაში ნამდვილი პროფესიონალიზმის დამყარება, საჭიროა ძალზე სერიოზულად მივუდგეთ შეკვეთილი ლიტერატურის გამოცემას. არ არის აუცილებელი ყველა ორგანიზაციამ პომპეზური ბუკლეტებით და წიგნებით აღნიშნოს თავისი იუბილე, ან ძვირადღირებული პროსპექტებით და ცნობარებით „შეუქმნას დონე" ნაკლებად მნიშვნელოვან სიმპოზიუმებს და თათბირებს. და, რაც მთავარია, ზემდგომ ორგანოებთან და გამსახკომთან ერთობლივი მოქმედებით, უნდა მივაღწიოთ, რომ საიუბილეო, სათარიღო და სხვა სახის წიგნების სია, მოცულობა და ანოტაციები სათანადო ორგანიზაციებმა სამი წლით ადრე მაინც წარმოგვიდგინონ, რათა თემატურ გეგმაში შევიტანოთ. სხვანაირად ვერასდროს ვერ შევძლებთ, რომ თემატური გეგმა იყოს რეალური და წლის ბოლოს გამოუცემელი ამ გეგმაში შეუტანელი არ დაგვრჩეს არც ერთი წიგნი. ამ მიმართულებით ბევრი საორგანიზაციო მუშაობა გავწიეთ, მაგრამ აღარ გადავღლი მკითხველის ყურადღებას.

— რამდენადაც ვიცი, საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში გამომცემელნი, წიგნი რომ მის ნამდვილ პატრონს არ დაუკარგონ, ამგვარ ხერხს მიმართავენ: გარდა ტირაჟისა, ისინი ბეჭდავენ... ცარიელ ყდებსაც. ამ ყდებსაც, რა თქმა უნდა, ყდაზე აწერია ავტორის სახელი და გვარი, წიგნის სათაური.

„მეშჩანი", რომელსაც წიგნი ბინის ანტურაჟისთვის სჭირდება, სიამოვნებით ყიდულობს შედევრების ფიტულებს და მათ თაროებზე ფერების მიხედვით ჩამოარიგებს. ასე იქმნება მნახველს კარგი საოჯახო ბიბლიოთეკის სრული ილუზია: თაროებზე გვერდიგვერდ აწყვია ტოლსტოისა და დოსტოევსკის, დიკენსისა და ფოლკნერის, პრუსტისა და ჯოისის, კაფკასა და მანის მრავალტომეულები. სქელი ბიბლიის, ჰომეროსის, სერვანტესის, შექსპირის უნიკალური გამოცემანი. თუ „მეშჩანს" წიგნში ასობით დოლარი უნდა გადაეხადა, წიგნის ფიტულში იგი იხდის ათობით ცენტს, მისთვის სასურველ ეფექტს კი ამით არაფერი აკლდება! — ვიმეორებ: მდიდარი ბიბლიოთეკის ხილვის ილუზია ამ ფასადაც გარანტირებულია.

ასე იზოგება დეფიციტური ქაღალდი, ასე იზოგება ენერგია, და წიგნის მოყვარულსაც საზრუნავი უნახევრდება.

იქნებ ჩვენც გავიზიაროთ ეს გამოცდილება, იქნებ ჩვენც გავყიდოთ შედევრების ფიტულები, ჩვენში ვითომ ცოტაა წიგნის ფსევდომოყვარული? ხუმრობა იქით იყოს და, კითხვა, რომელიც თქვენ მინდა დაგისვათ, ორი პრობლემისაგან შედგება: 1. როგორ გამოვცეთ კარგი წიგნი კარგად და 2. როგორ ვიშოვოთ კარგად გამოცემული წიგნი. ან იქნებ გამომცემლობას, რომელმაც შეასრულა თავისი უშუალო ამოცანა — გამოსცა კარგი წიგნი კარგად — აღარ აინტერესებს წიგნის შემდგომი ბედი, კერძოდ ის, მოხვდება თუ არა წიგნი მისი ნამდვილი და კანონიერი პატრონის ხელში!

— თქვენი შეკითხვა მრავალწახნაგოვანია. ამიტომ პასუხიც შედარებით ვრცელი გამოვა. დღევანდელი მკითხველის ურთიერთობა წიგნთან მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული. ეს ურთიერთობა თავისი ბუნებით რთულია და ალბათ სერიოზულ შესწავლას მოითხოვს. ამ საკითხზე სხვა დროსაც გამომითქვამს აზრი და, შეიძლება ითქვას, ახლაც ასევე ვფიქრობ.

დღევანდელი მკითხველი ორი ნიშან-თვისებით შეგვიძლია განვიხილოთ: თვისობრივად (ინდივიდუალურად) და ეპოქისმიერად. ამ პირობითს ტერმინებზე წინასწარ ვიხდი ბოდიშს და შევეცდები განვმარტო, რას ვგულისხმობ.

როდესაც ვლაპარაკობთ მკითხველის თვისობრივ მახასიათებელზე, ვგულისხმობ სხვადასხვა რანგის და სხვადასხვა გემოვნების მკითხველს. ეს ძალზე რთული და გრძელი ინტეგრალური მწკრივია უაღრესად დახვეწილი და გემოვნებიანი მკითხველიდან ყოვლად უგემოვნო და განუვითარებელ მკითხველამდე. ასეთი ინტეგრალური მწკრივი ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება.

მაგრამ ყველა საუკუნის მკითხველს ახასიათებს თავისებურება, გამომდინარე თვით ეპოქის თავისებურებებიდან. ასეთი ეპოქის მიერ მოტანილი თვისებებით განსხვავებული მკითხველი მე ზემოთ საკმაოდ ხელოვნური ტერმინით — ეპოქისმიერი მკითხველით აღვნიშნე.

მეოცე საუკუნის უკანასკნელი სამი ათეული წელიწადი ამ მხრივ მეტად განსხვავებული პერიოდია. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ პერიოდის ყველაზე გამოკვეთილი თვისებანი ჩადგა მტკიცედ წიგნსა და მკითხველს შორის. დამეთანხმებით, რომ ახლა, ვიდრე კაცობრიობის მთელი ცივილიზაციის მანძილზე, უფრო მეტია წერა-კითხვის მცოდნე, განათლებული და ინტელექტუალური ადამიანი. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ასეთივე პროპორციით ემატოს წიგნის ჭეშმარიტ მკითხველთა არმიასაც.

აღარ მახსოვს, სად წავიკითხე: თურმე მსოფლიოს ბიბლიოთეკათა ფონდის ოთხ მეხუთედს საერთოდ არ შეხებია მკითხველის ხელი.

რა მოხდა? იქნებ ხალხს აღარ აინტერესებს წიგნი? არა, ამას ვერ ვიტყვით. მაგრამ წიგნს წინ გადაეღობა კინო, ტელევიზია, სპორტი, ესტრადა და ათასგვარი სანახაობა. წიგნსა და მკითხველს შორის ჩადგა დროის ბიუჯეტის პარადოქსი, რაც ასე დამახასიათებელია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქისათვის. სწორედ ესაა უმთავრესი „მტერი" წიგნისა.

დროის ბიუჯეტის პარადოქსი ჩვენი ეპოქის ძალზე დამახასიათებელი თვისებაა. დღეს ადამიანი ქმნის ზებგერითი სიჩქარის თვითმფრინავებს, რაკეტებს, კავშირის უსწრაფეს საშუალებებს. მაგრამ რაც უფრო სწრაფი ხდება ეს საშუალებები, მით უფრო განვიცდით დროის უკმარისობას.

გარდა ამისა, წარმოიშვა საოცარი დისპროპორცია დროის პროდუქტიულ გამოყენებაში. ადამიანი დილის ტუალეტს ანდომებს იმდენსავე დროს, რამდენსაც ანდომებდა იმ საუკუნეში, როდესაც ხალხს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რა იყო უბრალო მექანიკური ძრავა. ხოლო დღეს იგივე დრო საკმარისია საიმისოდ, რომ ადამიანი გადაფრინდეს თბილისიდან მოსკოვში. წიგნის წასაკითხადაც იგივე დროა საჭირო, რაც საუკუნეების უკან. მაგალითად, „ძმები კარამაზოვების" წაკითხვას დღევანდელ პირობებში ოციოდე დღე მაინც უნდა, დღეში სამ-სამი საათიც რომ იკითხო, — აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ყოველდღიურად ვერ გამონახავ წიგნის კითხვისათვის გადადებულ ამ სამ საათს. დროის ეს ბიუჯეტი კი სავსებით საკმარისია, რათა ნახოთ რამდენიმე ათეული ფილმი (მათ შორის, იგივე „ძმები კარამაზოვები"), დაესწროთ რამდენიმე კონცერტს, სპექტაკლს თუ სპორტულ ორთაბრძოლას.

დამეთანხმებით, რომ ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელმა დროის ბიუჯეტის პარადოქსმა წიგნს ბევრი „სერიოზული მტერი" გაუჩინა.

სამწუხაროდ, დღეს ადამიანს ხედვის ან სმენის პროცესი უფრო მოსწონს, ვიდრე კითხვისა, ვინაიდან ხედვაც და სმენაც უფრო ეკონომიურია, თანაც ნაკლებ ენერგიულ შინაგან ჩართვას მოითხოვს პროცესში, ვიდრე ეს წიგნის კითხვის დროს ხდება.

ხანდახან ისიც კი მიფიქრია, ხომ არ დადგება დრო, როცა მხატვრულ ლიტერატურას საჭადრაკო ლიტერატურის მსგავსად მხოლოდ სპეციალისტები წაიკითხავენ?!

ამ სამიოდე წლის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში გახლდით. ვეწვიე ლოს-ანჯელესის სახელგანთქმულ უნივერსიტეტს. ერთხელ თურმე გამოუკითხავთ ამ უნივერსიტეტის 100 სტუდენტი. მათგან მხოლოდ ოთხს სცოდნია, ვინ იყო შექსპირი. დიდი დრამატურგის ნაწარმოები კი იმ ოთხიდან არცერთს არ ჰქონია წაკითხული.

შესანიშნავი ამერიკელი მწერალი უილიამ ფოლკნერი წერდა —: ჩემს წიგნებს მხოლოდ პარიზელი ქალებიღა თუ კითხულობენო.

ამ მხრივ ძალზე განსხვავებული მდგომარეობაა საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში. უნებურად მაგონდება მშვენიერი ისლანდიელი მწერლის ჰალდორ ლაქსნესის წინასიტყვაობა, რომელიც მან თავისი ცნობილი რომანის „ისლანდიის ზარის" ქართული გამოცემისათვის დაწერა. მწერალი აღტაცებას ვეღარ მალავს, რომ მისი წიგნი საქართველოში 50-ათასიანი ტირაჟით გამოდის.

„...დანიაში, ჰოლანდიასა და ბელგიაში ჩემს წიგნებს 1500 ან 2000 ცალად ბეჭდავენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, ინდოეთსა და ჩინეთში ჩემი წიგნი მხოლოდ მცირე ტირაჟით იბეჭდება, ზოგჯერ ზემოთ ხსენებულ რაოდენობაზე გაცილებით ნაკლები... ახლა, როცა გავიგე, რომ ჩემი წიგნი ასეთი დიდი ტირაჟით უნდა გავრცელდეს ესოდენ მაღალი კულტურის ქვეყანაში, საქართველოში, კმაყოფილების გამოსახატავად სიტყვა ვერ მიპოვია".

ამერიკიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი, როცა საბჭოთა კავშირს სტუმრად ეწვია ნიუ-იორკის ერთ-ერთი მსხვილი პროგრესული გამომცემელი და ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი თეოდორ ზოლოტარი (მისი ბაბუის ბაბუა ოდესღაც ოდესიდან წასულა ამერიკაში); როცა იგი საქართველოს ეწვია, რამდენიმე დღე მე დამეკისრა მისთვის მასპინძლობა გამეწია.

ჟურნალი, რომელსაც თ. ზოლოტარი რედაქტორობს, მოცულობით დაახლოებით ჩვენი „ცისკრის" ხელაა. მასში იბეჭდებიან მხოლოდ ცნობილი ამერიკელი და სახელმოხვეჭილი უცხოელი მწერლები. დავინტერესდით ტირაჟით და პერიოდულობით. ამერიკელმა სტუმარმა სიამაყით განაცხადა, ჟურნალი გამოდის წელიწადში ორჯერ, ხოლო მისი ტირაჟი 50 ათასიაო.

ეს ტირაჟი და პერიოდულობა, რაც ამერიკელისათვის საამაყოა, ქართველ მკითხველს მხოლოდ ღიმილს თუ მოჰგვრის. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი იყიდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ინგლისში, ე. ი. სამას მილიონიან „აუდიტორიაში" (ეს მისი სიტყვაა). ამერიკელმა გამომცემელმა აღტაცება და გაოცება ვეღარ დამალა, რომ იგივე „ცისკარი" გამოდის წელიწადში თორმეტჯერ 35 000-იანი ტირაჟით პატარა, სამმილიონიანი „აუდიტორიისათვის".

ეს ყველაფერი კარგია და მისასალმებელი, ქართველ კაცს ყოველთვის უყვარდა წიგნი, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს საქართველოში „მძვინვარებს" წიგნის მოდა. დიახ, სწორედ იმ კითხვაზე მოგახსენებთ პასუხს, რასაც თქვენ თავში ბრძანებდით. მთავარია, ნუვორიშმა შეიძინოს წიგნი, მთავარია, სასწრაფოდ მოათავსოს იგი თაროზე! მთავარია, სხვას არ ჩამორჩეს... შოვნაში!

ვერ წარმოიდგენთ, რა შემოტევა გვაქვს ზაზა ფანასკერტელის „კარაბადინზე". მაქსიმალურ უმრავლესობას ამ წიგნის შოვნის სპორტული ჟინი უფრო აქვს, ვიდრე მისი წაკითხვისა და გამოყენებისა. ეს მაშინ, როცა ბევრი სპეციალისტი და წიგნის ჭეშმარიტი მოყვარული რჩება „კარაბადინის" გარეშე.

მე ისეთი ნუვორიშიც ბევრი მინახავს, სახლი რომ უკვე გაავსო ჩეხური ბროლით და იაპონური ფაიფურით, ხოლო ახლა ფულს არ იშურებს, ოღონდ კი ვინმესგან შეიძინოს მჭამზარეული, წლების მანძილზე სათუთად ნაგროვები ბიბლიოთეკა. ეს სენი მარტო წიგნის შოვნის საქმეში როდი შეეყარა ჩვენს საზოგადოებას. გაიხსენეთ კონცერტები ფილარმონიაში. ვთქვათ, ჩამოვიდა ახალგაზრდა, ჯერჯერობით ნაკლებცნობილი პიანისტი ან მევიოლინე, თითქმის ცარიელია ფილარმონიის დარბაზი. მაგრამ აი, ჩამოდის უკვე სახელმოხვეჭილი მუსიკოსი, ასაკის გამო უკვე სანახევროდაც რომ ვეღარ შეედრება იმ ახალგაზრდას. დარბაზში სკამის ჩასადგმელ ადგილსაც ვერ იშოვით. ეს მაშინ, როცა ბევრი მელომანი უბილეთოდ რჩება.

დიახ, ბევრ ოჯახს ამშვენებს კლასიკოსთა და თანამედროვეთა ხელუხლებელი ტომები, ცალკეული გამოცემები, რომელთა შოვნას ამაოდ ცდილობს ჭეშმარიტი მკითხველი.

თქვენ მეკითხებით, იქნებ გამომცემლობას, რომელმაც შეასრულა თავისი უშუალო ამოცანა — გამოსცა კარგი წიგნი კარგად — აღარ აინტერესებს წიგნის შემდგომი ბედი, კერძოდ ის, მოხვდება თუ არა წიგნი მისი ნამდვილი და კანონიერი პატრონის ხელში?

ამ შეკითხვაზე პასუხიც კი ზედმეტად მიმაჩნია. განა ჩვენ არა ვართ სისხლხორცეულად დაინტერესებული, რომ ჩვენმა ნაშრომმა ნამდვილ, ჭეშმარიტ შემფასებლამდე მიაღწიოს?

სამწუხაროდ, გამომცემლობა იმ დღიდანვე ემშვიდობება მის მიერ გამოცემულ წიგნს, როგორც კი სტამბიდან სასიგნალო ეგზემპლარებს მიიღებს.

[illegible]

როგორ ვერ ვიშოვით) კარგად გამოცემული წიგნი, ხოლო სრულებით არაფერი გითქვამთ პირველ ნაწილზე — როგორ გამოვცეთ კარგი წიგნი კარგად?

— წელან მოგახსენებდით, თქვენი შეკითხვა მრავალწახნაგოვანია-მეთქი. ხოლო შეკითხვის ეს ნაწილი, ვფიქრობ, ერთ-ერთი უმთავრესი წახნაგია. სრული და ამომწურავი პასუხი რომ გაგცეთ, ბევრი ციფრის, ტექნიკური ტერმინოლოგიის, ეკონომიკური თუ სხვა ცნებების მოშველიება დამჭირდება, რაც დიდ ადგილს დაიჭერს და მკითხველსაც თავს შეაწყენს. გამოვყოფ მხოლოდ უმთავრეს მოვლენებს: გამსახკომის სისტემაში წლების მანძილზე გაბატონებული არაპროფესიონალიზმი, უგულისყურობა, პოლიგრაფიული ბაზის დაბალი დონე, მუშახელის უკმარისობა, ზოგიერთი გამომცემლობის თავნებობა და, აქედან გამომდინარე, დაძაბული, ნერვიული ატმოსფერო, გაუმართლებელი, ნაჩქარევი ექსპერიმენტები, არითმიული მუშაობა და საჭირო პოლიგრაფიული მასალებით უსისტემო მომარაგება — აი ძირითადი და კიდევ მრავალი ათეული წვრილმანი ხელისშემშლელი მიზეზი, რომლებიც საბოლოოდ თავის დაღს აჩნევს წიგნის პროდუქციას. განა შემაშფოთებელი არაა, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე ჩვენში გამოცემულ არც ერთ წიგნს არ მიუღია წამახალისებელი დიპლომიც კი?!

ამჟამად გამსახკომი (თავმჯდომარე ე. მაღრაძე) ყოველ ღონეს ხმარობს, რომ სისტემაში შეიქმნას ნორმალური ვითარება, მშვიდი, შემოქმედებითი ატმოსფერო. ეს მთლად იოლი საქმე არაა, მაგრამ მტკიცედ მჯერა, ყველა პრობლემა წარმატებით გადაიჭრება.

— წიგნის მაღაზიებში ამ ბოლო დროს ხშირად შეხვდებით გრძელ რიგებს. ჩაბარებული მაკულატურის საფასურად მკითხველები იღებენ ახალ წიგნებს. ურიგო არ იქნებოდა, სოციოლოგიური თვალსაზრისით ცოტა უფრო ახლოდან გაგვეჩხრიკა ეს რიგები: რა წიგნები ჩააბარეს ამ ადამიანებმა, ანუ როგორც იტყვიან ხოლმე — ცოტა რამ მაკულატურის ავტორებზე! რა წიგნები უნდა მიიღონ მაკულატურად გამოცხადებული ლიტერატურის სანაცვლოდ! თუ არ ვცდები, ოცი კილო მაკულატურა უნდა ჩააბარონ, რომ მიიღონ 400 გრ. დიუმა! დგება თუ არა იმ წიგნების სიები, რომლებიც ამ უსიამოვნო სასაფლაოზე მოხვდნენ! ან, თუ ისევ გამოდის მკითხველის მიერ ერთხელ უკვე დაწუნებული და მოკვეთილი წიგნი. რა სანქციები ხორციელდება მაკულატურის ავტორთა დასასჯელად? აპირებთ თუ არა თქვენ, გამომცემლობის ახალი ხელმძღვანელი, იმ წიგნების წინააღმდეგ ბრძოლას, რომლებიც პერსპექტივაში მაკულატურაა?

— მაკულატურის წინააღმდეგ ბრძოლა უპირველესად ჩვენი კრიტიკის ვალია. მოგეხსენებათ, „საბჭოთა საქართველოში" მხოლოდ მეორე და შემდგომი გამოცემები გამოდის. იშვიათი როდია შემთხვევა, როცა ავტორს ჩვენთან ხელმეორედ გამოსაცემად მოაქვს რომანი, მოთხრობების თუ ლექსების კრებული, რომლებიც არამცთუ მეორედ, პირველადაც არ უნდა გამოსულიყო. მაგრამ ამ ნაწარმოებების მიმართ კრიტიკული შენიშვნები არ გამოქვეყნებულა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისინი ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა, და არც მას შემდეგ, როცა ცალკე წიგნად გამოვიდა. ხშირად პირიქით, დადებითი რეცენზიებიც კი მიუძღვნეს მათ ჩვენმა კრიტიკოსებმა. კიდევ არსებობს გამომცემლობაზე შემოქმედების სხვადასხვა მეთოდი, თუმცა ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. ამიტომ უჭირს გამომცემლობას მოიგერიოს სამაკულატურო ლიტერატურა. მარტო გამომცემლობა და მისი დირექტორი ვერ გაუმკლავდებიან ავტორთა შემოსევას, თუ მწერალთა კავშირმა, ქართულმა კრიტიკამ, ფართო საზოგადოებრივმა აზრმა არ გამოუცხადა ბრძოლა ყოველგვარ უნიჭობას.

— წიგნის ესთეტიკური ღირებულება, ერთი მხრივ, და მისი პოპულარობა, მეორე მხრივ, ყოველთვის როდი ემთხვევა ერთმანეთს. ყველას შეგვიძლია გა- [illegible]

ლად აღზევებული მდარე ლიტერატურული ნიმუშები! რის გაკეთება მიგაჩნიათ საჭიროდ და სასურველად კარგი წიგნის რეკლამირებისა და პოპულარიზაციისათვის? თვითონ გამომცემლობა რის გაკეთებას აპირებს ამ მიმართულებით?

— გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" გადაწყვეტილი აქვს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმთან ერთად იმსჯელოს ამ საკითხებზე. ჩვენ დიდი სიამოვნებით მივიღებთ და ანგარიშს გავუწევთ ცალკეული პირების რეკომენდაციებს.

— „საბჭოთა საქართველო" უდიდესი გამომცემლობაა და მის გეგმებზე ამომწურავი საუბარი ძნელიცაა და ალბათ უადგილოც. ამიტომ, ჩემი ფიქრით, კარგი იქნებოდა გეთქვათ ორიოდე სიტყვა ორ-სამ წიგნზე, რომლებიც უახლოეს ხანში უნდა გამოვიდეს და რომლებიც კარგად ახასიათებენ გამომცემლობის გეგმას საერთოდ და თქვენი მუშაობის ხასიათს კერძოდ.

— ერთ საგაზეთო წერილში ოდნავადაც ვერ მოხაზავ ჩვენი გამომცემლობის ერთი წლის გეგმასაც კი. „საბჭოთა საქართველოში" რვა რედაქციაა: ისტორიულ-პარტიული და მასობრივ-პოლიტიკური; სოციალ-ეკონომიკური; სასოფლო-სამეურნეო; მხარეთმცოდნეობის; სათავგადასავლო და სპორტულ-ტურისტული; სამრეწველო-ტექნიკური; სამედიცინო; მხატვრული და მთარგმნელობითი ლიტერატურის რედაქციები. ამას ემატება შეკვეთილი და ბრძანებით გამოსაცემი ლიტერატურა, ათასგვარი პლაკატი, ბუკლეტი და გზამკვლევი.

ბევრ საინტერესო წიგნს გამოსცემს პოლიტიკური ლიტერატურის რედაქცია. ახლოვდება ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი, სკკპ XXVI ყრილობა, საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავი, სსრკ შექმნის მე-60 წლისთავი. უკვე შევადგინეთ ამ თარიღებისადმი მიძღვნილი თემატიკა, გამოვყავით ავტორები და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ამ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულებს ხელდამშვენებული შევხვდებით. ჩვენი გამომცემლობის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იქნება კომუნიზმის მშენებელი დღევანდელი საბჭოთა ადამიანის სახე, მისი გმირული შემართება. ერთი წუთითაც არ გვავიწყდება, რომ ახლოვდება XXVI ყრილობა. ამ მიმართულებით ბევრი საინტერესო რამ გვაქვს ჩაფიქრებული.

ვინაიდან საშუალება არა გვაქვს ყველა რედაქციაზე ვილაპარაკოთ, უნდა დამერწმუნოთ, რომ ძალზე საინტერესო წიგნებს გამოსცემენ დანარჩენი რედაქციებიც. მხოლოდ ქართული მხატვრული ლიტერატურის რედაქციის ზოგიერთ სიახლეზე მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა, რადგან ჩვენი დიალოგი სწორედ მწერალთა გაზეთში იბეჭდება. მრავალფეროვან თემატურ გეგმას შეავსებენ, ჩვენი აზრით, შემდეგი საყურადღებო გამოცემები: გადავწყვიტეთ დავიწყოთ სერიული გამოცემა — „ქართული პროზის ბიბლიოთეკა", რომელშიც დაიბეჭდება საუკეთესო ქართული რომანები, მოთხრობები და ნოველები იაკობ ცურტაველის ეპოქიდან დღემდე. პირველ და მეორე წიგნებს წელსვე გამოვცემთ (შემდგენლები რ. თვარაძე, გ. გვერდწითელი, ნ. ებრალიძე).

თქვენ, როგორც ერთ-ერთმა შემდგენელმა (გ. გეგეჭკორთან და ე. კვიტაიშვილთან ერთად) იცით, რომ წელსვე გამოვა ლირიკული ლექსების კრებული „სიყვარულის წიგნი". მისი მოცულობა ათი თაბახი იქნება და გამოვა ორი ფორმატით, ერთი უფრო დიდი, მეორე — ჯიბეში ჩასატევი. კრებულში შევა ქართული პოეზიის სატრფიალო ლირიკის რჩეული ნიმუშები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს მიეძღვნება ქართული პოეზიის ანთოლოგია სამ წიგნად. პირველ წიგნში შევა ხალხური პოეზიის ნიმუშები (შემდგენელი ა. ჭინჭარაული), მეორე წიგნში — კლასიკა (შემდგენლები — ს. ცაიშვილი და ე. კვიტაიშვილი), მესამე წიგნში — მეოცე საუკუნის ქართული პოეზია (შემდგენლები — ტ. ჭანტურია, გ. გეგეჭკორი და ე. კვიტაიშვილი). გამოვცემთ „ვეფხისტყაოსნის" სასაჩუქრო გამოცემებს ქართულ და რუსულ ენებზე.

წელს დავიწყებთ აგრეთვე ახალ სერიას — „ქართული პო- [illegible]

ლშიც შევა ქართველი მწერლების წერილები და გამონათქვამები მწერლობაზე (შემდგენლები — ლ. ბრეგაძე და თ. დოიაშვილი).

წელს გამოვა ალმანახი-კრებული, რომელიც მთლიანად დაეთმობა ჩვენს ახალგაზრდობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით, მწერალთა კავშირი და „საბჭოთა საქართველო" მთელი სერიოზულობით შეარჩევენ მასალებს ოცფორმიანი ახალგაზრდული ალმანახისათვის. მისი გამოცემა ტრადიციული გახდება შემდგომი წლებისთვისაც.

ბარემ აქვე ვიტყვით, 1981 წლისათვის ვაპირებთ გამოვცეთ ახალგაზრდა ქართველი პოეტების ანთოლოგია „სიჭაბუკე და ლექსი ერთია".

წელსვე მიიღებს ქართველი მკითხველი აკაკის რჩეულს, დავით კლდიაშვილის ორტომეულს, იოსებ გრიშაშვილის პირველ ტომს. იმ ტომებზე აღარაფერს მოგახსენებთ, რომელთა ბეჭდვა გრძელდება.

და კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლეც. ჩვენს გამომცემლობაში გაიხსნება თარგმნის კოლეგიის სექტორი, რომელიც უზრუნველყოფს კოლეგიის მიერ მომზადებული წიგნების დროულად გამოცემას (წლიური გეგმა 410 თაბახი). ამჟერად კი, ჩვეულებისამებრ გამოვცემთ მათ მიერ მომზადებულ წიგნებს 100 თაბახის რაოდენობით.

აღარაფერს ვიტყვი სხვა წიგნებზე, აგრეთვე ჩვენი მთარგმნელობითი რედაქციის გეგმებზე, თორემ ყველაფრის ჩამოთვლა, უბრალოდ, შეუძლებელია.

— რამდენადაც ვიცი, ზოგიერთ ქვეყანაში ტირაჟის საკითხს წყვეტს წიგნისადმი მკითხველის დამოკიდებულება. გამომცემლობა ინახავს ანაწყობს, და მანამდე ბეჭდავს ამა თუ იმ წიგნს, სანამ მას მყიდველი ჰყავს. ცხადია, მხოლოდ მოგება-წაგების პრინციპით წიგნების გამოცემა ან მათი ტირაჟების განსაზღვრა არ არის სწორი. წიგნი რთული მოვლენაა და მისი სოციალური, პოლიტიკური თუ ესთეტიკური დანიშნულება ერთგვაროვანი არაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხომ არ მიგაჩნიათ შესაძლებლად ამგვარი პრაქტიკის გაზიარება რაღაც ფორმით მაინც: იმან, ვისი წიგნიც არ იყიდება, რატომ უნდა მიიღოს იმდენი, რამდენიც ბესტსელერის ავტორმა, ან კიდევ რატომ უნდა გამოიცეს არასაჭირო წიგნი ორი ტირაჟით, ბესტსელერი კი შეზღუდული რაოდენობით?

— თქვენს შეკითხვას ორ ნაწილად ვუპასუხებ: ა) ტირაჟების სწორ დაგეგმვას ბევრი ტექნიკური გარემოება უშლის ხელს; ასევე ანაწყობების შენახვაც ჭირს ჩვენი პოლიგრაფიული ბაზების პირობებში; და ბ) ვისი წიგნიც არ იყიდება, რატომ უნდა მიიღოს იმდენი, რამდენიც ბესტსელერის ავტორმა, მეკითხებით თქვენ.

აქ უფრო რთულადაა საქმე. ხანდახან ისეთი ნაწარმოები პოულობს ფართო გზას მკითხველისაკენ, რომლის გამოცემაც კი დანაშაული იყო. ერთი განახათ, როგორი ჰონორარით მოდის ასეთი წიგნის ავტორი გამომცემლობაში! სად არის ამ დროს კრიტიკა? განა მათ არ უნდა აინტერესებდეთ მკითხველის სწორი აღზრდა, მათი გემოვნების სწორი ორიენტირება? ეს საყვედური მარტო ლიტერატურის კრიტიკოსებს როდი ეკუთვნის. გაიხსენეთ, როგორი ბუმი იყო ჩვენს რესპუბლიკაში (და არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში) ინდური ფილმებისა, როგორი საეჭვო ღირებულების საესტრადო ორკესტრების კონცერტებზე იყო ხოცვა-ჟლეტა!

ყველაფერი ისევ ერთ წერტილში იყრის თავს. თუ ნამდვილად გვაინტერესებს ქართული წიგნის ბედი, ჩვენმა კრიტიკამ და არა მარტო კრიტიკამ — მთელმა ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ პრინციპული, დასაბუთებული და შეურიგებელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს უნიჭობას. როცა ასეთი ბრძოლა არ სწარმოებს, მერე ნუღარ უკვირთ, საიუბილეო თარიღებზე ვაამწერლები ტომეულების გამოცემას რომ მოითხოვენ და აღწევენ კიდეც მიზანს. შემდეგ იწყება ქირქილი. ქირქილი ადვილია, პრინციპულობა და საქმის გაკეთებაა ძნელი!

— როცა გადაწყდა, რომ ჟურნალ „ცისკრიდან" თქვენ გამომცემლობაში უნდა გადასულიყავით სამუშაოდ, გახსოვთ ალბათ, მურმან ლებანიძემ და მე გკითხეთ, მაინც რით აპირებთ დაწყებას-თქო. იგულისხმებოდა, [illegible]

ვაჩაგვრინებო, გვითხარით მაშინ. გთხოვთ, ახლა უფრო დაწვრილებით გვიამბოთ, რა ადგილს დაიჭერს ჩვენი კლასიკა გამომცემლობის გეგმებში, ჩვენი საყვარელი მწერლების რა წიგნები შეემატება ჩვენს თაროებს უახლოეს მომავალში!

— ვაჟა-ფშაველას რჩეული ორტომეული უკვე მიიღო მკითხველმა. წელს, საიუბილეოდ აკაკის რჩეულიც გამოვა 60-ათასიანი ტირაჟით. 1982 წლიდან დავიწყებთ ილია ჭავჭავაძის მრავალტომეულის გამოცემას, შემდეგ კი აკაკისა და ვაჟას მრავალტომეულებს შევუდგებით. გარდა აკადემიური გამოცემებისა, გადაწყვეტილი გვაქვს გამოვცეთ ილიას, აკაკის, ვაჟასა და გალაკტიონის შვიდტომეულები. ესენი იქნება მომცრო ზომის ტომები, თავისებური რჩეული, სადაც შევა ჩვენი საამაყო კლასიკოსების საუკეთესო ნაწარმოებები.

— ახლა იქნებ წიგნის ტექნიკურ ხარისხზეც გვითხრათ ორიოდე სიტყვა.

ყველამ ვიცით: წიგნის სასიგნალო ეგზემპლარს ავტორისთვის სიხარული მოაქვს, წიგნის ტირაჟს — გულისტკენა, საქმე ის არის, რომ ის რამდენიმე ცალი წიგნი, რომელიც ავტორს ეძლევა, თავისი პოლიგრაფიული ხარისხით ტირაჟისაგან ისე განსხვავდება, როგორც ცა — დედამიწისაგან. თავი რომ დავანებოთ პოლიგრაფიულ ბაზას, წიგნს, როგორც ჩანს, გულისყურიც აკლია. რა შესაძლებლობები აქვს გამომცემლობას, რომ ტირაჟი თავისი ხარისხით სასიგნალო ეგზემპლარს დაუახლოოს?

— ამ შეკითხვაზე, ვფიქრობ, უკვე გაგეცით პასუხი, როცა ჩვენს სისტემაში არსებულ მრავალ გადასაჭრელ პრობლემაზე ვილაპარაკე.

— აპირებთ თუ არა საზღვარგარეთ რომელიმე წიგნის გამოცემას?

— საკავშირო კომიტეტის წინაშე ჩვენი გამსახკომის დახმარებით უკვე აღვძარით შუამდგომლობა სამი წლის მანძილზე ფინეთში ან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 5 ენაზე დაგვისტამბონ „ვეფხისტყაოსანი". ვფიქრობთ, ეს საქმე დადებითად გადაწყდება. უკვე საქმიანი მოლაპარაკება მიმდინარეობს ჩვენსა და ცნობილ ამერიკულ ფირმა „აბრამსს" შორის, გამოიცეს ალბომი „საბჭოთა საქართველო", რომელიც ტოკიოში დაიბეჭდება.

— როგორც გამომცემლობის დირექტორი, მტკივნეულად ხომ არ განიცდით თქვენ მიერ გამოცემული წიგნების კრიტიკას?

— დირექტორობის არც ისე დიდი სტაჟი მაქვს. ჯერჯერობით არ გაუკრიტიკებიათ ამ პერიოდში ჩვენი გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნები. თუმცა, მე თვითონ მშვენივრად ვიცი, გასაკრიტიკებელი წიგნიც ბევრი გამოვიდა...

მჯერა, ჩემი ხათრით არ შეუკავებიათ თავი კრიტიკოსებს ამ წიგნების გაკრიტიკებისაგან. ისინი ამ შემთხვევაშიც თავს იმავე მიზეზებით იკავებენ, რა მიზეზებითაც საერთოდ იკავებენ თავს მძაფრი და პირუთვნელი კრიტიკისაგან.

ისე კი, გულახდილად უნდა გითხრათ, სამართლიანი კრიტიკა არავითარ შემთხვევაში არ მეწყინება. პირიქით, შემდგომ მუშაობაში შეგვიწყობს ხელს.

ერთი სიახლეც: წლევანდელი წლიდან წიგნებს დაეწერება რეცენზენტთა გვარები და იმ ორგანიზაციების სახელწოდებანი, ვისი რეკომენდაციითაც გამოდის ესა თუ ის წიგნი. ეტყობა, რეცენზიების წერის ან რეკომენდაციების გაცემის დროს უპასუხისმგებლობა მარტო „ქართული სენი" არაა. ასეთი გადაწყვეტილება საკავშირო კომიტეტიდან მოგვივიდა და ჩვენ მტკიცედ დავიცავთ მას.

— რაზე ოცნებობთ, როგორც გამომცემელი?

— იმაზე, რომ წიგნის მსოფლიო გამოფენაზე, რომელშიაც წამყვან საბჭოთა გამომცემლობებთან ერთად მონაწილეობენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სახელგანთქმული ფირმები, „საბჭოთა საქართველოს" წიგნებმა უმაღლესი ჯილდოები დაიმსახუროს. იმავე წიგნებმა უმაღლესი სახელმწიფო პრემიები და ხალხის საყოველთაო სიყვარული და აღიარება მოიპოვოს...

ქართული კულტურის მესვეურებმა ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ეს ოცნება განუხორციელებელ ოცნებათა რიგს არ ეკუთვნოდეს.

საბჭოთა საქართველოს და, კერძოდ, „საბჭოთა საქართველოს" ამისი ყველა პირობა აქვს.

---

## გურამ ძეგრიშვილი

## ახალი ლექსები

### თამაში

[illegible]

### სურათი

[illegible]

---



## „ოტელო"— საოპერო თეატრში

22-24 იანვარს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა პრემიერა — მუსიკალური ხელოვნების მოყვარულებმა ჩვენი ოპერის თეატრის სცენაზე კვლავ იხილეს ჯუზეპე ვერდის ქმნილება „ოტელო".

სპექტაკლი დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დიმიტრი ალექსიძემ, მთავარი პარტიები შეასრულეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ზურაბ ანჯაფარიძემ და საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ნოდარ ანდღულაძემ (ოტელო), სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მედეა ამირანაშვილმა (დეზდემონა), ახალგაზრდა მომღერალმა, ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა ელდარ გეწაძემ (იაგო).

სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა.

ფოტოები მ. კვირიკაშვილისა



## ლიტერატურული ურთიერთობანი

# სიმონ ჩიქოვანი უცხოურ ენაზე

ნუგზარ წერეთელი

[illegible]

...დი მოწონება დაიმსახურა.

რუმინელი მკითხველი გაეცნო გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, გრიგოლ აბაშიძის საუკეთესო პოეტურ ქმნილებებს. ჯერ კიდევ 1955 წელს ბუქარესტის დიდმა გამომცემლობა „კარტია რუსემ“ გამოსცა „საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია“. ამ სქელტანიან კრებულში დაბეჭდილი იყო ხუთი ქართველი პოეტი: გალაკტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, გიორგი ლეონიძე, ალიო მაშაშვილი და გრიგოლ აბაშიძე.

60-იანი წლების დასაწყისში ჩეხოსლოვაკიის გამოჩენილმა მწერალმა მილოშ კრნომ თარგმნა მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები. მან სლოვაკიაში, — ბრატისლავაში, გამოსცა ქართველ ავტორთა ნაწარმოებები საერთო სათაურით „მერანი“. სლოვაკურ ენაზე აჟღერდა ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის ლექსებიც.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოვიდა სქელტანიანი კრებული „ქართული პოეზია რვა საუკუნის მანძილზე“. აქ შევიდა სიმონ ჩიქოვანის ნაწარმოებები.

1971 წელს გამომცემლობა „ფოლკ უნდ ველტმა“ („ხალხი და მსოფლიო“), სადაც გამოდის მსოფლიო ლირიკის რჩეული წიგნების სერიები, გამოსცა სიმონ ჩიქოვანის საუკეთესო ლირიკული ლექსების წიგნი „ჭადრების ორნამენტში“.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სწორედ ამ სერიითაა გამოცემული ალექსანდრ ბლოკის, ბორის პასტერნაკის, ანა ახმატოვას, გამოჩენილი იტალიელი პოეტის, ნობელის პრემიის ლაურეატის სალვადორე კვაზიმოდოს და მსოფლიოს სხვა თვალსაჩინო პოეტების ლექსები.

ძალზე მაღალ დონეზე ითარგმნა და ამ კრებულში შევიდა სიმონ ჩიქოვანის ისეთი შესანიშნავი ლექსები, როგორიცაა: „თბილისელი მეთევზე“, „სვანური იავნანა“, „წუნდას ტბა“, „ბროწეულები პიტიახშის სამარხზე“, „ფიროსმანის ღამეები“, „უშგული“, „ცხრა მუხა“, „სიმღერა“, „ქუჩის დაბადება“, „მთვარე შიშველი მტკვარში ეშვება“, „მე მომხვდა შენი ნასროლი თოვლი“, „ორი ფრთა“, „წვიმაში“, „იქვე“ და სხვა. ეს ლექსები თანამედროვე გერმანიის ცნობილ ლიტერატორებს უთარგმნიათ.

მთარგმნელების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის გამომცემლობა „ფოლკ უნდ ველტის“ მთავარი რედაქტორი ლეონჰარდ კოშუტი: „ს. ჩიქოვანის ლექსები რვა პოეტმა თარგმნა. პაულ ვინსი კინოსცენარების ავტორიცაა და მრავალი ენიდან უთარგმნია ლექსები. გუნთერ დაიკესი ჩვენთანაც მუშაობს და სხვა გამომცემლობაშიც, ადოლფ ენდლერი და მისი მეუღლე ელკე ერბი ჩვენში ქართული პოეზიის სპეციალისტებად არიან ცნობილი. ჰელმუტ პრაისლერი ცნობილი პოეტია, რაინერ კირში ხომ კარგა ხანს იყო საქართველოში. ფრიდემან ბერგერი ს. ჩიქოვანის ლექსების წიგნმა ჩვენი მუდმივი თანამშრომელი გახადა. ილზე პრეცრიგი „მოწოდებით“ პოეტი არ არის, მაგრამ როგორც ჩვენი გამოცემის რედაქტორმა, ს. ჩიქოვანის ლექსების კრებულის გამოცემაზე ბევრი იზრუნა და თან საქართველოსადმი ინტერესი იმდენად გაუცხოველდა, რომ გადაწყვიტა ქართული ენა შეისწავლოს. ს. ჩიქოვანის გამოცემისათვის სარეკლამო ტექსტი შეადგინა იურგენ რენერტმა, რომელმაც თარგმნა რამდენიმე ლექსი“.

ლეონჰარდ კოშუტი აქვე ეხება თარგმანთან დაკავშირებულ ზოგიერთ სიძნელეს და აცხადებს: „მთავარი სიძნელე ის იყო, რომ ს. ჩიქოვანი ჯერ თვითონ ჩვენთვის აღმოგვეჩინა, რათა შემდეგში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მკითხველებისათვის ღირსეულად გაგვეცნო... სიძნელეები ბევრი შეგვხვდა. ჩვენ ხელთ გვქონდა ს. ჩიქოვანის ლექსების პწკარედები, გასაგები იყო თითოეული ლექსის განწყობა, ახსნილი და განმტკიცებული იყო ყველა მეტაფორული გამოთქმა, მაგრამ, მაინც, რაც ქართველისთვის ნათელია, უცხოელისთვისაც ცხადი როდია“.

მიუხედავად ამ სიძნელეებისა, როგორც ვთქვით, თარგმანი ძალზე მაღალხარისხოვანი გამოვიდა,

[illegible]

...ქართული კლასიკური ლექსის მდიდარი ტრადიციები.

ამ ცოტა ხნის წინათ სიმონ ჩიქოვანის ლექსები ლუქსემბურგში, იტალიურ ენაზეც გამოქვეყნდა. იქვე დაბეჭდილი იყო პოეტის ბიოგრაფია და ფოტოსურათი.

1974 წელს უნგრელმა პოეტმა ქალმა ჟუჟა რაბმა ბუდაპეშტში შესანიშნავად გამოსცა ასი ქართული ლექსი საერთო სათაურით „ყანწი“. წიგნს, რომელიც მხატვრულად გააფორმა ჭედური ხელოვნების ოსტატმა კობა გურულმა, დართული აქვს ყველა პოეტის ბიოგრაფია. აქ სიმონ ჩიქოვანის რამდენიმე ლექსია დაბეჭდილი.

1975 წელს, უნგრეთშივე, გამომცემლობა „ევროპამ“ გამოსცა თანამედროვე საბჭოთა პოეტების საუკეთესო ლექსების კრებული. კრებული მთლიანად მიეძღვნა დიდი სამამულო ომის თემას. აქ შევიდნენ საბჭოთა პოეზიის ძველი თუ ახალი თაობის ისეთი ოსტატების ლექსები, როგორებიც არიან: ნიკოლოზ ტიხონოვი, ალექსანდრ ტვარდოვსკი, ბორის პასტერნაკი, მიხეილ ისაკოვსკი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, პავლე ანტოკოლსკი, ალექსი სურკოვი, სტეფანე შჩიპაჩოვი, კონსტანტინე სიმონოვი, ალექსანდრ მეჟიროვი, მიხეილ ლუკონინი, ევგენი ევტუშენკო, ბელა ახმადულინა, რობერტ როჟდესტვენსკი, ანდრეი ვოზნესენსკი და სხვები.

მოძმე რესპუბლიკების მრავალფეროვანი პოეზია შედარებით მკრთალად არის წარმოდგენილი. აქ ვხვდებით ისეთ დიდ და ცნობილ სახელებს, როგორებიც არიან: მიკოლა ბაჟანი, მუსა ჯალილი, სალომეა ნერისი, ანდრეი მალიშკო, ანდრეი ლუპანი, რასულ გამზათოვი, დიმიტრი პავლიჩკო, იოან სმეული, ედუარდას მეჟელაიტისი და ვიტალი კოროტიჩი.

კრებულში გამოქვეყნებულია სამი ქართველი პოეტის ლექსები, — სიმონ ჩიქოვანის „იერიშის წინ თქმული“ მირზა გელოვანის „ომი“ და მიხეილ ქვლივიძის „ბალადა ჯარისკაცზე“.

სამივე ლექსის თარგმანი ეკუთვნის ჩვენს მიერ ზემოთხსენებულ უნგრელ პოეტ ქალს ჟუჟა რაბს, რომელიც დიდი სიყვარულითაა გამსჭვალული ქართული მწერლობისადმი და ორი ერის სულიერი დაახლოების საქმეში ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებს.

1977 წელს პოლონეთში გამოვიდა გამოჩენილი პოეტისა და მთარგმნელის ვლადისლავ ბრონევსკის თარგმანების კრებული. იგი გამოსცა ვარშავაში არსებულმა „სახელმწიფო საგამომცემლო ინსტიტუტმა“ ოცდაათიათასიანი ტირაჟით.

აქ შევიდა სიმონ ჩიქოვანის ცნობილი ლექსი „ურალელი გრიგოლ კუნავინი პოლონეთში“, ციკლიდან „პოლონეთის მიწაზე“.

უდავოდ საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ვ. ბრონევსკის წიგნს სათაურად აქვს „ჩემი საყვარელი პოეტები“ და მასში სიმონ ჩიქოვანის გვერდით გვხვდებიან ისეთი მსოფლიო სახელის მქონე თუ თავიანთი ქვეყნებისათვის ფართოდ პოპულარული ავტორები, როგორიცაა: ალექსანდრ პუშკინი, კონსტანტინე ბალმონტი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, სერგეი ესენინი, ბორის პასტერნაკი, პავლე ანტოკოლსკი, მაქსიმ რილსკი, ხრისტო ბოტევი, ნიკოლა ვაპცაროვი, ბოჟიდარ ბოჟილოვი, სკენდერ კულენოვიჩი, ბერტოლდ ბრეხტი, ფრედერიკ ვოლფი, ნაზიმ ჰიქმეთი, კორნეი ჩუკოვსკი...

სასიამოვნოა, რომ ვ. ბრონევსკიმ მსოფლიოს მასშტაბით თავის საყვარელ პოეტებში სიმონ ჩიქოვანიც დაასახელა. ეს იყო სიმონ ჩიქოვანის მაღალმხატვრული და ორიგინალური პოეზიის დიდი აღიარება. ვლადისლავ ბრონევსკი პოლონეთის სათაყვანო პოეტია და თუნდაც ის ფაქტი, რომ მას სიმონ ჩიქოვანი უყვარდა, მსოფლიოში ფართოდ ცნობილი პოეტების გვერდით აყენებდა და მის თარგმნას ცდილობდა, ჩვენთვის უდავოდ სასიხარულოა.

სიმონ ჩიქოვანის შესანიშნავ შემოქმედებას, მიუხედავად ზემოთჩამოთვლილი თარგმანებისა, ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობს ლიტერატურული მსოფლიო. ამ აუცილებელი საქმის სათანადო დონეზე წარმართვა უახლოესი მომავლის საქმეა.

---

პარასკევს, 25 იანვარს, დღის 3 საათზე, მწერალთა კავშირში (რუსთაველის პროსპექტი № 7) ჩატარდება კრიტიკის სექციის სხდომა.

სექციის წევრთა დასწრება აუცილებელია.

●

ორშაბათს, 28 იანვარს, დღის 2 საათზე მწერალთა კავშირში შედგება თარგმანის სექციის სხდომა.

●

სამშაბათს, 29 იანვარს, დღის 3 საათზე, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ლენინის ქუჩა № 5) ჩატარდება თემურ აბულაშვილის მოთხრობების კრებულის — „ჩიტები უფასოდ“ — განხილვა.

---

# პოეტი უმღერის მეგობრობას

## ირაკლი აბაშიძის საღამო სოხუმში

მეგობრობისა და ძმობის სიმბოლოდ იქცა სოხუმში პოეტ-აკადემიკოსის, სოციალისტური შრომის გმირის — ირაკლი აბაშიძის საიუბილეო საღამო.

სოხუმის ს. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა შეხვედრა, რომელზეც აფხაზეთის საზოგადოება დიდხანს უკრავდა ტაშს პოეტს, საპატიო სტუმარს და ფეხზე ამდგარი ესალმებოდა, რითაც პირველი წუთებიდანვე გაუმხილა თავისი სიყვარული, აღიარება და პატივისცემა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ადლეიბამ.

საიუბილეო საღამოზე ირაკლი აბაშიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ილაპარაკა აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ მ. ლასურიამ. პოეტს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს სრულიად განსხვავებული ასაკისა და პროფესიის ადამიანებმა. მათ შორის იყო უხუცესი, გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობის ერთ-ერთი ორგანიზატორი 106 წლის მახტი ხაგბა.

პოეტს დაბადების 70-ე წლისთავი მიულოცეს ქართული და აფხაზური ლიტერატურის წარმომადგენლებმა, კულტურის მოღვაწეებმა.

დასასრულს ირაკლი აბაშიძემ მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი და დაუვიწყარი შეხვედრისათვის.

ქართველ პოეტთან შეხვედრა-საღამოს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ოთარ ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვახტანგ ქარუმიძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები.

---

# ცისფერი ეკრანი

### გამოცდილება და პრობლემები

# მაყურებელი ითხოვს სიტყვას

## საქართველოს ტელევიზიის პუბლიცისტურ გადაცემებზე

ვენახებით გარშემორტყმულ მინდორზე, იმ წმიდათაწმიდა ობელისკებთან, რომლებზედაც შინმოუსვლელთა სახელებია ამოკვეთილი, რეკდნენ ზარები, რეკდნენ ზარები და კაკაბეთელებს იწვევდნენ სოფლის ყრილობაზე. ორმოცდაორი წლის ჭემალ ოთიაშვილმა უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა, ამიერიდან ამ ოჯახიდან ქალს არავინ ითხოვს, ამ ოჯახს წყალს არავინ მიაწვდის, პურს არავინ უწილადებს.

ასეთი კადრებით იწყება საქართველოს ტელევიზიის მუდმივი ციკლის „რედაქციაში წერილი მოვიდა“ ერთ-ერთი გადაცემა.

იმ დღეს ცისფერი ეკრანიდან კაკაბეთელთა ზარი რეკდა რესპუბლიკის ყველა მოსახლის ოჯახში. გადაცემის წამყვანმა ტელემაყურებელს მიმართა—ერთად ვიფიქროთ, როგორ აღმოიფხვრას ნეგატიური მოვლენები, გულახდილად გავუზიაროთ ერთმანეთს აზრიო და ეკრანზე აციამციმდა სტუდიის ტელეფონების ნომრები.

ტელესტუდიაში ორ აპარატთან მოვიყარეთ თავი, რამდენიმე ტელეფონი განუწყვეტლივ რეკდა და ჩვენც ძლივს ვასწრებდით ჩაწერას, ყურმილში გაისმოდა აღელვებული ხმები, ყველა რისხავდა ბოროტმოქმედს. ნაშუალამევის ორ საათამდე ასზე მეტმა ტელემაყურებელმა დარეკა, მეორე და მესამე დღესაც განუწყვეტლივ გაისმოდა ტელეფონის ზარის ხმა, ხოლო გადაცემიდან ორი დღის შემდეგ სარეგისტრაციო ჟურნალში ტელემაყურებელთა გამოხმაურებამ შვიდასს გადააჭარბა. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკისა და ჩაშენ მასალათა კომბინატის კოლექტივებმა გადამღები ჯგუფის გაგზავნა ითხოვეს, ორივე საწარმოში საერთო კრება მოიწვიეს, რათა ერთად ემსჯელათ ცისფერი ეკრანიდან მოსმენილ ამბავზე.

ამ გადაცემას გულგრილად არავინ შეხვედრია, მაგრამ უფრო საგულისხმოა მეორე ამბავი: მრავალმა ტელემაყურებელმა ისურვა, საჯაროდ გამოეთქვა თავისი აზრი და პირადად მიეღო მონაწილეობა ამ დიდ საუბარში.

### უკუკავშირი

„ალო! ტელევიზიის სამეცნიერო ცენტრიდან გირეკავთ!“ — ასეთი საუბარი აღარ ეუცხოვებათ თბილისელებს, იციან, რომ სამეცნიერო ცენტრი არის სოციოლოგიური კვლევისა და მეცნიერული პროგრამირების მთავარი რედაქცია, რომელიც ერთი წლის წინათ შეიქმნა საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში — „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ აღნიშნულია, რომ აუცილებელია ღრმად და ყოველმხრივ იყოს შესწავლილი საზოგადოებრივი აზრი, სოციოლოგიური გამოკვლევები, ყურადღებით მოვეკიდოთ რედაქციაში შემოსულ წერილებს.

და აი, გასული წლის გაზაფხულზე ეთერში პირველად გაისმა შეკითხვა — „როგორია თქვენი აზრი საქართველოს ტელევიზიის გადაცემების შესახებ?“ ტელევიზიის ავტორიტეტზე ზრუნვა საკუთარი პროგრამების კრიტიკული გააზრებით დაიწყო. ტელემაყურებელს გადაცემის თანაავტორობა შესთავაზეს. თანამშრომლობა რომ კონკრეტული და ოპერატიული იყოს, საზოგადოებრივი აზრის შესწავლას საფუძვლად დაედო ერთი ან რამდენიმე მცირე მოცულობის სოციოლოგიური გამოკვლევა.

ყოველკვირეულში „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“ გადაცემათა პროგრამის გვერდით დატოვებულია სუფთა გრაფა, სადაც ტელემაყურებელი წერს მთელი კვირის განმავლობაში ნანახი გადაცემების შეფასებას. საწარმოებში სპეციალურად გავრცელებულ ანკეტებში მაყურებელს სთავაზობენ შეაფასოს გადაცემა. რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ და რატომ, ანკეტები მუშავდება სპეციალურად შექმნილ ჯგუფში.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით შემოღებულია გადაცემათა ახალი ციკლი „როგორია თქვენი აზრი?“, რომელიც რეგულარულად გადაიცემა მნიშვნელოვანი პუბლიცისტური და მხატვრული პროგრამების გასვლის შემდეგ.

კონკრეტული მაგალითი: რედაქციაში წერილი მოვიდა, ავტორი გახლდათ მასწავლებელი, რომელმაც ტელევიზიას ყურადღება მიაქცევინა მახარაძის რაიონის სოფელ მერიის ხილის წვენების ქარხანაში არსებულ დარღვევებზე. წერილების კვალდაკვალ მომზადდა გადაცემა, ფაქტები დადასტურდა, საქმოსანთა მაქინაციებიც გამომზეურდა. „როგორია თქვენი აზრის“ მორიგი გამოშვება დაიწყო წერილების კითხვით, რომელთა ავტორები ეძებდნენ დანაშაულის სათავეს. ამას მოჰყვა ქალაქის ქუჩებსა და საწარმოებში აღებული ინტერვიუს კადრები; ეკრანზე გამოჩნდა თბილისელი მუშა, რომელიც, სხვა ტელემაყურებლების მსგავსად, იმ აზრისაა, რომ ეს დანაშაული, რომელზეც გუშინდელ გადაცემაში იყო ლაპარაკი, ერთი დღის ამბავი არ არის და ახლა საქმე იქამდე მივიდა, რომ დამნაშავეებს ველარაფერი იხსნის და ისინი სასტიკად უნდა დაისაჯონო.

დიახ, დამნაშავენი ღირსეულად დაისაჯნენ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ დანაშაულში ბრალი მიუძღვის ყველას, ვინც გულგრილად უვლიდა მას გვერდს.

ქმედითობა და დაუყოვნებელი რეაქცია მარტო გადაცემას „როგორია თქვენი აზრი?“ როდი ახასიათებს. ეს პრინციპი უდევს საფუძვლად ყველა პუბლიცისტურ გადაცემას. რესპუბლიკური ტელევიზიის ძალა იწამეს, მას ახლა დახმარებისთვისაც მიმართავენ. ტელევიზიაში შემოსული წერილების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, სრულიად შეიცვალა მათი შინაარსიც. ადრე წერილებში ტელემაყურებლები, ძირითადად, ამა თუ იმ გადაცემის ან მუსიკალური ნაწარმოების გამეორებას ითხოვდნენ, იშვიათად აქებდნენ ან აძაგებდნენ რომელიმე პროგრამას, თანაც მიზნად არ ისახავდნენ თავიანთი პოზიციის დასაბუთებას. ახლა კი წერილების უმრავლესობა პოლიტიკურ გადაცემებს ეხმაურება, ამასთანავე მაყურებელი სთავაზობს ახალ რუბრიკებსა და თემებს. მაყურებლის მიერ წამოჭრილი პრობლემა შესაბამისი უწყებებისა და სამინისტროების მსჯელობის საგანი ხდება. შემოღებულია რუბრიკა „ჩვენი გადაცემების კვალდაკვალ“, მუშაობა დაიწყო „სატელევიზიო მისალებმა,“ სადაც მინისტრები და უწყებათა ხელმძღვანელები საუბრობენ და მსჯელობენ საჭირბოროტო საკითხებზე, აგრეთვე იმის შესახებ თუ რა ქმედით ღონისძიებებს ახორციელებენ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

### ვის შეხვდა არჩევანი?

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ გადაცემის მომზადებისას გმირის არჩევანს მხოლოდ შემთხვევითობა წყვეტს, ზოგჯერ ჟურნალისტები იოლი გზითაც მიდიან,— არჩევანი იმაზე ჩერდება, ვიზეც საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელი მიუთითებს. მართლაც, ჩვენს წინაშეა კარგი მუშაკი, რომელიც პირნათლად ასრულებს საზოგადოებრივ დავალებებს, მაგრამ მას ინდივიდუალური არაფერი გააჩნია. ისიც ხდება, რომ ერთხელ მიგნებულ გმირს „უმოწყალო ექსპლოატაციას“ უწევენ და წარამარა, კამერის წინ ატრიალებენ. ამ გარემოებამაც წამოჭრა საკითხი — ტელეგადაცემის გმირის არჩევანი იქნებ თავად მაყურებლისათვის მიგვენდო.

ასე იპოვეს „საქართველოს ტელევიზიის დღეები“ — კადრს მიღმა მუშაობის კიდევ ერთი ახალი, შესანიშნავი ფორმა. პირველად ეს დღეები ჩაატარეს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მეთაურ ქარხანაში, სადაც შეიქმნა „სატელევიზიო მისალების“ „ფილიალი“, გაავრცელეს კითხვარები, სადაც ჩამოთვლილი იყო ის ოცი თვისება, რომელიც ადამიანს უნდა ახასიათებდეს, აქედან უნდა შეერჩიათ ის თვისებები, რომლებიც, ანკეტის შემვსების აზრით, უნდა ახასიათებდეს დადებით გმირს, ამასთან უნდა დაესახელებინათ ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად და სრულად გააჩნდა ეს თვისებები.

ტელემაყურებელთა თვალწინ შეიქმნა ახალი ციკლი „ჩვენი ლაშქარი“, ამ ციკლის დანიშნულებას თვით სათაური მიგვანიშნებს: რა არის საჭირო, რომ ასეთი ადამიანები უფრო მეტი იყოს? ანკეტების შევსებისას არც ელმავალმშენებლებმა, არც მომავალი გადაცემის გმირებმა და არც ტელეჟურნალისტებმა არ იცოდნენ, როგორი იქნებოდა საბოლოო შედეგი. პასუხების დაჯამებისას გაირკვა, რომ ყველაზე ღირსეულს შემდეგი თვისებები უნდა გააჩნდეს: იგი უნდა იყოს თავისი საქმის ოსტატი, პრინციპული, სამართლიანი კაცი, კარგი ამხანაგი.

და აი, ეკრანმა საშუალება მოგვცა თვალყური გვედევნოთ ელექტროგამომთვლელი მანქანის მუშაობას, რომელიც ამუშავებდა ანკეტის მონაცემებს. მანქანამ გვაცნობა, რომ ამ ციკლის პირველი გმირია ზეინკალი მიხეილ გოგოლაძე. მიხეილი გააოცა ამ ამბავმა. იქვე კამერის წინ რამდენიმე საჭირბოროტო შეკითხვა მისცეს. პასუხი რომ მიიღეს, ტელეჟურნალისტები ქარხნის მუშებსა და ტელემაყურებლებს შეეკითხნენ — „თქვენ როგორღა ფიქრობთ? ეთანხმებით?“.

ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ საუბარი ზოგადი ხასიათისა არ ყოფილა, გოგოლაძემ კონკრეტულად თავის რაიონზე, თავის საწარმოზე ილაპარაკა. მან აღნიშნა, რომ ბინებში ხშირად ცივი წყალიც კი არ არის, ადამიანებს ანერვიულებს ტრანსპორტის ცუდი მუშაობა, რომ ახლო-მახლო სამეურნეო მაღაზია არა აქვთ, საწარმოში კადრების დიდი დენადობაა, რადგანაც ახალგაზრდობასთან მუშაობა ცუდად არის დაყენებული, ჯერ კიდევ მოუგვარებელია ნედლეულით საწარმოს რეგულარული მომარაგების საკითხი. ეს კი ხშირად იწვევს მუშახელის მოცდენას და თვის ბოლოს იერიშობანას.

საქართველოს ტელევიზიის პრაქტიკაში უკვე დამკვიდრდა — გადაცემიდან რამდენიმე ხნის შემდეგ გოგოლაძის და ფაქტიურად მისი ამხანაგების ყველა შეკითხვაზე პასუხი გასცა რაიაღმასკომის თავმჯდომარემ, მან ილაპარაკა ნაკლოვანებების აღმოფხვრის კონკრეტულ ღონისძიებებზე. დღეს ამ საკითხების უმრავლესობა გადაწყვეტილია, მიკრორაიონის მოსახლეობა შეუფერხებლად ღებულობს ცხელ წყალს, გაიხსნა სამეურნეო-საგალანტერეო მაღაზია, დაინიშნა დამატებითი ავტობუსები.

რასაკვირველია, მიხეილ გოგოლაძის ხასიათი მარტო ხუთი დასახელებული თვისებით როდი განისაზღვრა, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ეკრანის გმირი არის კაცი, რომელიც საღად აზროვნებს, აქვს ფხიზელი თვალი, აქტიურია და გვეხმარება კონკრეტული, ყველასათვის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში.

„ჩვენ ლაშქარს“ მოჰყვა კიდევ ერთი ახალი ციკლი „გაუმარჯოს გულახდილობას!“, რომელიც შეიძლება საქართველოს ტელევიზიის ბევრი პუბლიცისტური გადაცემის დევიზად გამოდგეს.

ასეთი გადაცემა მომზადდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც „საქართველოს ტელევიზიის დღეები“ მოეწყო. სტუდენტებსაც, როგორც მუშებს, შესთავაზეს შეერჩიათ საუკეთესო სტუდენტი. ანკეტებზე პასუხის გაცემა და მათი შედეგების განსაზღვრა იქაც ელექტროგამომთვლელი მანქანების მეშვეობით მოხდა. მანქანამ ამჯერად შეარჩია ერთი კი არა შვიდი კაცი, რომელთაც ერთნაირი ქულები დაუგროვდათ. ტელემაყურებლის თანდასწრებით სტუდენტები უპასუხებდნენ წამყვანის შეკითხვებს. აი, ერთ-ერთი შეკითხვა: „თქვენ რომ ხელმძღვანელი ყოფილიყავით, რა პრობლემას გადაწყვეტდით პირველ რიგში?“ გადაცემის მონაწილეთა კრიტიკული შენიშვნები და სურვილები გამოქვეყნდა ყოველკვირეულში „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“. აი, ზოგიერთი მათგანი: „აუცილებელია გაუმჯობესდეს უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უნდა შეიქმნას პირობები სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის, არსებითად უნდა გადაწყდეს ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა განაწილების საკითხი და ა. შ.

შეკითხვების ხასიათმა და პასუხებმაც ცხადჰყვეს, რა რამდენად შეიცვალა ტელევიზია კვნ-ის (მხიარულთა და საზრიანთა კლუბი) დროიდან დღემდე. ახლა საინტერესოა არა მონაწილეთა გონებამახვილობა, არამედ მათი უნარი, კამერის წინ ახსნან თავიანთი აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია.

### შედეგები ჯამდება

ჩვენ საქართველოს ტელევიზიის მხოლოდ იმ გადაცემებზე ვისაუბრეთ, რომლებიც, ჩვენის აზრით, პრინციპულად მნიშვნელოვანია და ასახავს სტუდიის ცხოვრებაში მომხდარ ახალ ძვრებსა და პროცესებს. აქ, როგორც ეტყობა, თანდათან ყალიბდება პროგრამების მთელი სისტემა, რომელთა მიზანი ერთია — მხარი დაუჭიროს საზოგადოებრივ აზრს, საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანოს ის საკითხები, რომლებიც მას აწუხებს, გააძლიეროს ბრძოლა ნაკლოვანებებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, მხარი დაუჭიროს ყოველივე ძვირფასსა და ახალს.

ახალმა პროგრამამ ერთბაშად როდი დაიპყრო აუდიტორია. ის ექსპერიმენტი, რომელსაც აქ ატარებენ, ჯერ არ არის სრულყოფილი. ჩვენ ვისაუბრეთ გადაცემების არსსა და პრობლემატიკაზე, ფორმისადმი კი, სამწუხაროდ, ისევ სერიოზული პრეტენზიები გვაქვს. თითქმის ყველა გადაცემა, დისკუსია გაჭიანურებულია, ბევრ მათგანს ზოგჯერ აკლია დინამიკა და დრამატიზმი. თითქოს და ავტორებს დავიწყებიათ, რომ ტელეკამერა არა მარტო სამყაროსკენ გახსნილი სარკმელია, რომლიდანაც შეიძლება დავინახოთ დროში განზომილი ცხოვრების რეალობა, არამედ არის ხელოვნების გამადიდებელი შუშაც, სადაც რეალობა მის კულმინაციებშია მოცემული.

ნამდვილ მოქალაქეობრივ ტრიბუნად ყოფნა საპატიოა და ამავე დროს პასუხსაგები. საქართველოს ტელევიზიამ იგრძნო დროის სულისკვეთება, ცხოვრებაში ახორციელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ მიღებულ დადგენილებაში ფორმულირებულ მოთხოვნილებებს და გაბედულად მიმართავს ტელეჟურნალისტიკის. ყველაზე პერსპექტიულსა და ხელმისაწვდომ მეთოდებს. იგი ნაყოფიერ და ინტენსიურ ექსპერიმენტს ატარებს სოციოლოგიისა და საზოგადოებრივი აზრის ყოველმხრივი შესწავლის დარგში.

ამიტომ გვინდა ჩვენი წერილიც დავამთავროთ საქართველოს ტელევიზიის ჩვეული შეკითხვით, რომლითაც მივმართავთ მაყურებელთა ფართო აუდიტორიასა და სსრ კავშირის ტელერადიოკომიტეტის, რესპუბლიკური და საოლქო კომიტეტების ხელმძღვანელებს — „როგორია თქვენი აზრი?“

ე. ჩეკალოვა.

„სოვეტსკაია კულტურა“ 18/I-80 წ.

---





ზამთარი.

ფოტოები ა. გურასაშვილისა.

# რუსთაველის თეატრის გასტროლები ინგლისში

ჯერ კიდევ გვახსოვს ის დიდი წარმატება, რაც რუსთაველის სახელობის აკადემიურმა თეატრმა ედინბურგის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მოიპოვა და კვლავ გასტროლები... ამჯერად ლონდონში.

ლონდონელი მაყურებელი ნახავს დიდი ინგლისელი დრამატურგის უილიამ შექსპირის „რიჩარდ მესამეს“. სპექტაკლის დამდგმელია თეატრის მთავარი რეჟისორი, სახელმწიფო და მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი რობერტ სტურუა. ლონდონის სცენაზე რუსთაველელები თორმეტჯერ უჩვენებენ „რიჩარდ მესამეს“.

ვუსურვოთ რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრს კვლავაც დიდი წარმატება.

---

გამოდის პარასკეობით

ფასი 10 კაპ.

ლიტერატურული საქართველო,

რედაქციის მისამართი,

380007, თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13.

ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), ნ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ლვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. დაბეჭდილია ოფსეტური წესით ახალ საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29. უე 03367